გაზეთი ზევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№35 (1061) 30 – 31 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რაში ხარჯავენ არასამთავრობოები პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებულ მილიონებს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 34 „ენ-ჯი-ო“-ს დაფინანსების დეტალებს ასაჯაროებენ

ბესო ხარძიანის მკვლელობის კვალი სპეცსამსახურამდე მიდის?

ვინ იქნება შემდეგი?!

ერთი ხელწერა – გიორგი სანაია, ეროსი კიწმარიშვილი, იური ვაზაგაშვილი, ბესო ხარძიანი...

გვ. 3

რა ინფორმაცია აქვს ნათია მიქიაშვილს კიწმარიშვილის სიკვდილზე

სად არის, რას აკეთებს და ვისთან მიდის უკრაინაში — ხმაურიანი ჟურნალისტის არა-ჩვეულებრივი პირადი და პოლიტიკური ანატომია

გვ. 4-5

„5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა დანაშაულია!“

გვ. 6

რატომ არ უნდა დაუჭიროს პარლამენტმა მხარი სუბელიანის კანონპროექტს“

სოლომონ პავლიაშვილი: „ქართული უმაღლესი სასწავლებლებით ამერიკელები დაინტერესდნენ!“

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდა

გვ. 7

რუსეთუმე მელუდის ამბავი

ლევან სეფისკვერაძე

სიყვარული მრავალგვარი არსებობს — ორმხრივი, ცალმხრივი, მრავალმხრივი, დედმამიშვილური, დაძმური, ქვისლური თუ ძმაკაცის სიდედრული, მაგრამ სულ სხვა ეშხი და ლაზათი აქვს, როდესაც მელუდეს რუსეთი უყვარს. არის ამ სიყვარულში რაღაც „დიადი“ და ამაღელვებელი, რადგან ამ მელუდეს რუსეთი არამხოლოდ უყვარს, არამედ, თანახმაა, ეს სიყვარული სხვებსაც გაუზიაროს და აკი, გვიზიარებს კიდეც. აბა, რა! ბარაქალა მელუდე-ჯან!

მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი კარგა ხანია, უბრალო მელუდე აღარაა და უფალმა უწყის, მერამდენე მოწვევის პარლამენტარიცაა, ლიხსიქითა და ლიხსაქეთა საქართველოში მაინც მელუდედ იცნობენ და მოქალაქენი ლ. ბერიას მიერ წვითა და დაგვით აშენებულ თბილისის მარცხენა სანაპიროზე გავლისას მელუდის სახელს სულ სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიებენ. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას აქვს, ვინ როგორ ერკვევა ლუდის ხარისხში. ვინც ლუდის ხარისხი იცის, „რატომღაც“ მათ არ უყვართ რუსეთუმე მელუდე და თუ რატომ არ უყვართ, ეს ყველაზე კარგად თავად მელუდემ იცის.

იყო დრო, როდესაც ეს ჩვენი ხელიხელსაგოგმანები მელუდე „წითელ დირექტორად“ ითვლებოდა და ათასგვარ საქმეებს ბლანდავდა. ეს იყო დრო, როდესაც ნამგალსა და ურუოს სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა და ლ. ბრეჟნევის ჩაკოცვნას კი სულ სხვა გემო და სიამე. მელუდესაც აი, სწორედ მაშინ შეუყვარდა რუსეთი. სულ პირველად ეს სიყვარული მოსკოვში, სასტუმრო „როსიაში“ იგრძნო, როდესაც სააბაზანოდან ახლადგამოსულს თავზე პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული და თავისი ოთახის კარის ზღურბლზე ნატაშა გ-ს ჰაეროვანი ნაბიჯების ხმას ელოდა. რუსეთის სიყვარულის მეორე ტალღა მაშინ ეწვია, როდესაც ჩელიაბინსკში საპნის ახალი პარტია ჰქონდა ჩატანილი და იქაურ ძმაბიჭებთან რესტორან „ოროხოვოში“ გვარიანად იქეიფა.

აფხაზეთის ომისა და სამაჩაბლოს უბედურების შემდეგ, ქართველ მელუდეს ცოტა კი აეწეწა ურთიერთობა ტკბილ რუსებთან, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა, ურთიერთობები ძველებურად აღსდგა, ახლადნაყიდი ლუდის ქარხნიდანაც მოყვითალო ქაფიანმა სითხემ იწყო დენა და ამ სითხის ნაკადს ცნობადობა და პარლამენტარობა მოჰყვა. საქართველო კი, მოგეხსნებათ, ის ქვეყანაა, სადაც პოლიტიკოსები ცალ-ცალკე არავის უყვარს, მაგრამ როდესაც მათ პირადად ხვდებიან, ლამის ყველა მზადაა, რომ სიყვარულში გამოუტყდნენ. ცნობადობა ოხერი რამაა, თვალსაც ატყუებს და სულსაც.

რუსეთზე შეყვარებულმა მელუდემ ისიც თქვა, რომ მისი ამ სიყვარულის შესახებ „მთლად უფროსმაც“ იცის და პოლიტიკურ კოალიციაში თავის სიყვარულთან ერთად მიიღო ანუ „უმფროსს“ პრობლემა არ ჰქონია მისი რუსეთუმეობის გამო. ჩვენ, აბა, რა უფლება გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ მელუდის სიტყვებში, რომელიც ასეთი გულწრფელი და სათნოა. მაგრამ იმ რამდენიმე ადამიანს, რომლებსაც ჯერ კიდევ ქართველი ერი გვქვია, შეიძლება, გვქონდეს კიდეც უფლება, რომ დავსვათ კითხვა: რატომ? ანდა დავსვათ მეორე კითხვა: ამის მერე რა იქნება?

კითხვებზე პასუხების წინასწარ გაცემა არაა საჭირო, რადგან ასე ჩვენი ცხოვრება თავისებურ მოლოდინსა და აზარტს დაკარგავს და ჩვენი ხმა შესაძლებელია, ახალგორის გზაზე აგრუხუნებული ტანკების ხმამ გადაფაროს. სხვათა შორის, მელუდემ და მისმა მარადიულმა მეგობარმა, ბენზინთმხაპავი საკრებულოს წევრის მამამ კარგად იციან, რომ ეს ნატო-ს და „გარყვნილი ევროპის“ ტანკები სულაც არ არიან! ეს ჩვენი სულიერი ძმების, ერთმორწმუნე რუსების ტანკებია, ასე ლაღად რომ მოუღერებიათ ლულები და სოფელ მოსაბრუნიდან ასე ქორისებურად რომ დასცქერიან თბილისი-ლესელიძის სატრანსპორტო მაგისტრალს. ეს ოკუპაცია როდია. ესაა ძველ, „ძმურ“ წიაღში დაბრუნება, საიდანაც შეიძლება, ვეღარასოდეს გამოვიდეთ. რუსეთუმე მელუდესაც სწორედ ეს უნდა!

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური საგანგებო გაცხადებას ავრცელებს

კატეგორიულად მიუღებელია დაუსაბუთებელი ბრალდებების მოსმენა იმ მთავრობის მიმართ, რომლისთვისაც მთავარ პრიორიტეტს სწორედ სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენს, — ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის განცხადებაში.

პრესსამსახური ამ განცხადებით ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობასა და მკვლელობის შესახებ გავრცელებულ კომენტარებს ეხმაურება.

„საქართველოს მთავრობის სახელით, გვინდა, მწუხარება გამოვთქვათ ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობის გამო და სამძიმარი გამოვუცხადოთ მის ოჯახს, ახლობლებს.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვინდა, განვაცხადოთ, რომ ბესო ხარძიანის საქმის გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, რათა უმოკლეს ვადებში მოხდეს დამნაშავის დადგენა და დასჯა. ამ დღეებში მომხდარზე ბევრი კომენტარი კეთდება სხვადასხვა სატელევიზიო ეთერში. გაისმა ბრალდებები მთავრობის ყოფილი და მოქმედი წევრების ამ საქმესთან შესაძლო კავშირის შესახებ.

გვინდა, მოვუწოდოთ ყველას, ბრალდების შემთხვევაში წარმოადგინონ კონკრეტული დოკუმენტური დასაბუთება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ბრალდებები ჩაითვლება საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიზანმიმართულ დისკრედიტაციად“, — ნათქვამია განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

იტალიაში გარდაცვლილ თამუნა ტრაპაიძეს საქართველოში სახელმწიფო ხარჯებით გადმოასვენებენ

იტალიაში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის, 31 წლის თამუნა ტრაპაიძის საქართველოში გადმოსვენება სახელმწიფოს ხარჯებით მოხდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა, მარი ნარჩემაშვილმა განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, იტალიაში საქართველოს საკონსულო გამოძიების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებს. საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე დაუკავშირდა გარდაცვლილი თამუნა ტრაპაიძის ოჯახს და მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი გადმოსვენება სახელმწიფოს ხარჯებით მოხდება. უწყებაში აცხადებენ, რომ ოჯახთან მუდმივ კონტაქტზე იქნებიან.

იტალიაში საქართველოს მოქალაქე, 31 წლის თამუნა ტრაპაიძე ძლიერი ინტოქსიკაციის შედეგად გარდაიცვალა. ამის შესახებ იტალიური მედია იტყობინება. გავრცელებული ცნობით, თამუნა ტრაპაიძე ერთ-ერთ მოხუცთან მომვლელად მუშაობდა. ინტოქსიკაციის მიზეზად სახლში კედლების შეღებვა სახელდება.

როგორც იტალიური მედია წერს, მოხუცის მომვლელმა უამინდობის გამო შეღებილი ოთახები ვერ გაანიავა, რის გამოც მოიწამლა. ექიმთან წასვლა ვერ შეძლო იმის გამო, რომ დოკუმენტები არ ჰქონდა. ამიტომაც სახლის პირობებში გადაწყვიტა, რძე დაელია. წინასწარი ვერსიით, გოგონას მდგომარეობის გაუარესება სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია, რაც ფატალურად დასრულდა.

გოგონა გარდაცვლილი თავად მოხუცმა იპოვა. გამოძიება დაწყებულია.

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე: „ცოდვა ჯაჭვივითაა!“

„ადამიანი ერთი მხრივ ძლიერია, თუმცა მეორე მხრივ — სუსტი“, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა. უწმინდესის თქმით, ადამიანის სისუსტე არის ის, რომ ადვილად ვარდება ცოდვაში.

„ადამიანი ერთი მხრივ ძლიერია, ის არის ხატება და მსგავსი ღვთისა. მეორე მხრივ, ადამიანი სუსტია, რადგან ძალიან ადვილად ვარდება ცოდვაში. ამიტომ, რთულია ადამიანის ცხოვრება“, — აღნიშნა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ცოდვა ჯაჭვივით არის — ერთ ცოდვას მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და ა.შ. **„ამ ჯაჭვის დასასრული დიდხანს არ ჩანს ხოლმე. ამიტომ საჭიროა უფლის დახმარება, ძალა და მადლი. მოგვიახლოვდა აღდგომის დღესასწაული და ჩვენ შევთხოვთ, რომ წმინდად წარვსდგეთ ღვთის წინაშე“,** — ბრძანა ილია მეორემ.

„ინტერპრესნიუსი“

გუგული მაღრაძე: „ოპოზიციას ყოველთვის შოუს მოწყობა სურს“

მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტარი გუგული მაღრაძე მიიჩნევს, რომ თავდაცვის მინისტრის მინდია ჯანელიძის პარლამენტში დაბარებასთან დაკავშირებით, ოპოზიციის მოთხოვნა, შოუს მოწყობის სურვილითაა განპირობებული.

„ოპოზიციას ყოველთვის სურს შოუს მოწყობა. დეპუტატებს შეუძლიათ მინისტრს გაუგზავნონ კითხვები და იგი ვალდებულია, უპასუხოს“, — აცხადებს გუგული მაღრაძე და დასძენს, რომ მხარს არ უჭერს ასეთი ტიპის გამოსვლებს პარლამენტში, თუ ქვეყანაში რაიმე საგანგებო არ ხდება.

მისი თქმით, მთავრობას ისედაც აქვს ვალდებულება, საკანონმდებლო ორგანოში რეგულარულად წარმოადგინოს ანგარიში.

გუგული მაღრაძის შეფასებით, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად და წარმატებით განაგრძობს ნატო-სთან დაახლოების კურსს.

„ნატო-მ უნდა გადაწყვიტოს ჩვენი მიღება. უარს იმიტომ კი არ გვეუბნებიან, რომ რაღაც მოთხოვნებს არ ვაკმაყოფილებთ, არამედ იმიტომ, რომ ევროპაში არიან სკეპტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ დღეს არ არის ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოებისთვის ხელსაყრელი ვითარება“, — აცხადებს იგი.

გუგული მაღრაძე, ასევე, ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას მთავრობის სრული შემადგენლობა დაესწროს.

მისი თქმით, პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა, ძირითადად, არის პარლამენტისა და პრეზიდენტის შეხვედრა და მას საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელები დაუსვამენ კითხვებს ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მანამდე მათივე ფრაქციის წევრებთან იქნება შეთანხმებული.

„თავისუფალი დემოკრატები“ პარლამენტში თავდაცვის მინისტრის, მინდია ჯანელიძის მისვლას ითხოვენ. მათი თქმით, მინდია ჯანელიძემ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე არსებულ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი და კანონმდებლებს ამ უწყების სამომავლო გეგმებზე მიაწოდოს ინფორმაცია. მინისტრთან კითხვები აქვთ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებსაც.

„ინფო 9“

გიორგი გიორგაძე

ბესო ხარძიანის მკვლელობის კვალი სპეცსამსახურამდე მიდის?

ორ თვეში ორი გვამი — ხელისუფლება სისხლიანი გამოწვევის წინაშე დგას: ან იური ვაზაგაშვილისა და ბესო ხარძიანის მკვლელობების შემკვეთებს დაადგენს, ან ის სცენარი ამუშავდება, რომელიც ვიღაც უხილავმა დაწერა, თუმცა ვიდრე „უხილავს“ გავშიფრავთ, მოდით, მოვლენების განვითარებას ქრონოლოგიურად მივყვეთ.

პირველი „განგსტერული საქმე“, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „მოხდა“, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებაა. „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი და რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი 2014 წლის ზაფხულში, საკუთარი სახლის ავტოფარეხში მკვდარი იპოვეს. გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა, თუმცა, როგორც ახლა ირკვევა, ეროსის ოჯახი ამ ვერსიას არ იზარებს და მინიშნებებს მკვლელობაზე აკეთებს.

საერთოდ, როცა ცნობილი და გავლენიანი ადამიანი გაურკვეველ ვითარებაში იღუპება, ცხადია, უმალ ჩნდება შეკვეთილი მკვლელობის ვერსია. სხვათა შორის, ასე იყო ჟურნალისტ გიორგი სანაიას გარდაცვალების შემთხვევაშიც — მართალია, მაშინდელმა გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ვინმე „გრიცკომ“ პირადი კონფლიქტს ნიადაგზე მოკლა და ამის გამო სასჯელიც მოიხადა, მაგრამ დღემდე არსებობს ეჭვი, რომ იმ დროისთვის, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ტელესახე სისხლიანი პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი გახდა.

მოდით, გავყვეთ მკვლელობის ვერსიას:

ვის და რატომ აწყობდა გიორგის მოკვლა? — თავის დროზე ითქვა, რომ **ჟურნალისტის მკვლელობის უკან, შესაძლოა, სპეცსამსახური იდგა,** რომლის გათვლითაც, სისხლი ხალხს ქუჩაში გამოიყვანდა და ქვეყანაში დიდი პოლიტიკური ორომტრიალი დაიწყებოდა. პრინციპში, ასეც მოხდა — გიორგის მკვლელობის შემდეგ, მინირევოლუცია გათამამდა — „რკინის კაცი“ ანუ კახა თარგამაძე ხელისუფლებას ჩამოშორდა. მართალია, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ზურაბ ჟვანიამაც დატოვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, „რკინის კაცის“ სეკვესტრით, საბოლოო ჯამში, მაშინდელი მმართველი პარტიის — მოქკავშირის ე.წ. რეფორმატორული ანუ ის ფრთა გაძლიერდა, რომელიც 2003 წლის 23 ნოემბრის მოვლენებით ხელისუფლებაში მოვიდა.

გიორგი სანაიას, იური ვაზაგაშვილისა და ბესო ხარძიანის მკვლელობები ჩადენილია თუ არა ერთი ხელწერით? — ამ კითხვაზე კომპეტენტური პასუხის გაცემა, რასაკვირველია, პროფესიონალ გამომძიებლებს შეუძლიათ, მაგრამ იმ ვერსიებს, რომლებსაც „ვერსია“ გთავაზობთ, არსებობის უფლება, ბუნებრივია, აქვს. **ამ ვერსიებით კი კვალი — არც მეტი, არც ნაკლები — სპეცსამსახურებამდე მიდის.**

დავუბრუნდეთ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებას, მართალია, ღიად არავის უთქვამს, მაგრამ გაკეთდა მინიშნებები, რომ ეროსის მოცილება შესაძლოა, ყოფილ მმართველ გუნდს აწყობდა.

ასევე, მიანიშნეს, რომ კიწმარიშვილს კონფლიქტი ახალ ხელისუფლებასთან ტელებიზნესის ნიადაგზე ჰქონდა.

მაშასადამე, არაგონიერმა ადამიანმა შეიძლება, ორივე მინიშნება დაიჯერა, მაგრამ რატომ არ უნდა დავუშვათ მესამე ვერსია, მაგალითად ასეთი:

ეროსი, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში საქართველოს ელჩი 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს იყო, ესე იგი, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მან, შესაძლოა, ბევრი ისეთი დეტალი იცოდა, რაც აგვისტოს მოვლენების დეკლარირებულ მიზეზს ყირაზე დააყენებდა. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ცხონებულ ეროსის ისეთი ინფორმაცია გაესაჯაროებინა, რაც მსოფლიოს თვალში, მაგალითად, ჩრდილოეთური ცენტრის მილიტარისტობას კიდევ ერთხელ დაამტკიცებდა. **ამ ლოგიკით, ეროსის თავიდან მოცილება, შესაძლოა, რუსულმა სპეცსამსახურებმა უზრუნველყვეს.**

სხვათა შორის, ითქვა კიდეც, რომ მკვლელმა საქართველო, შესაძლოა, დავალების შესრულებისთანავე დატოვა.

რუსული სცენარი ყარაფილას ტრაგედიის დროსაც გაჟღერდა. ამ ვერსიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ სპეცსამსახურებმა ვაზაგაშვილი, რომელსაც, როგორც ამბობენ, სახიფათო რეიტინგი ჰქონდა ანუ როგორც სამართლიანობისთვის მებრძოლს, ხალხი აბსოლუტურ ნდობას უცხადებდა, მიზანმიმართულად განირეს — ე.წ. საიდუმლო ორგანიზაციებმა, ალბათ, გათვალეს, რომ შვილმკვდარი მამის შვილის საფლავზე აფეთქება მოსახლეობის მოთმინებას კულმინაციამდე მიიყვანდა და ქუჩაში გამოვიდოდა. სხვათა შორის, აქციები დაანონსდა კიდეც, მაგრამ ჩვენმა ძალოვანებმა იმარჯვეს და ვაზაგაშვილის აფეთქება მალე გახსნეს, რითიც ხალხის მღელვარება და, შესაბამისად, **საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რომელიღაც ქვეყნის სპეცგეგმა ჩავარდა.**

ამასობაში, ქვეყანაში პოლიტიკური ფონი იძაბება — იწყება ე.წ. სავალუტო კრიზისი, ნაციონალები ამით სარგებლობენ — მთავრობის გადადგომის მოთხოვნით, მიტინგს მართავენ და ანალოგიური ინიციატივით პარლამენტშიც შედიან, ქვეყნდება უცხოური კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც ე.წ. პრორუსულ ძალებს, მაგალითად, ბურჯანაძეს არცთუ ცოტა პროცენტი აქვს (ამ კვლევას ქვემოთაც ვახსენებთ, — გ.გ.).

ერთი სიტყვით, ქვეყანა პოლიტიკური შეშლილობის ზღვარზეა. მთავარია, პატარა ბიძგი, ნაპერწკალი რომ ხალხი გაგიჟდეს, ქუჩაში გამოვარდეს და მთავრობას სულ კუდით ქვა ასროლინოს.

ასეთ დროს, რა არის ყველაზე კარგი გამაღიზიანებელი? — რა თქმა უნდა, სისხლი ანუ **ვიღაც მიზანმიმართულად ცდილობს, საქართველო 90-იან წლებში დაბრუნდეს და თბილისი განგსტერულ ქალაქად იქცეს.**

მიზანი საშუალებას ამართლებს: „ქალაქში მკვლელია!“

ხალხი პანიკდება.

ვინ ისარგებლებს ამ ფონით?

ერთი ვერსიით — ალბათ, ყოფილი ხელისუფლება, რომელიც შეეცდება, ძველი პოზიციები დაიბრუნოს, თან ხარძიანის მკვლელობის შემთხვევაში, ზომაზე მეტი ფაქტები არსებობს ეჭვისთვის, რომ ყველაფერი გია უდესიანს დაბრალდეს, რომელიც ნაცების მთავარ ზონდერად ითვლება.

მკვლელობის მოტივი სახეზეა — ბესო ხარძიანი სამართლიანობის აღსადგენად იბრძოდა, თან სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე თქვა, რომ თუ სამართლიანობა არ აღდგება, საქართველო ძველ სიცილიას დაემსგავსება. სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევაა, როცა მოკლული ბიზნესმენის პროგნოზი გამართლდა.

აძლევდა თუ არა უდესიანს ხარძიანის მკვლელობა ხელს? ლოგიკის კანონებით, — არა, რადგან, თუ მისი მოცილება უნდოდა, საამისოდ იდეალური პირობები მაშინ ჰქონდა, როცა ხელისუფლებაში ნაციონალები იყვნენ. უდესიანი ისეთი გულუბრყვილოც არ ჩანს, არ გაეთვალა, ხარზიანის მკვლელობა მე დამბრალდებაო, მაგრამ **სპეცსამსახურების მუშაობა ლოგიკას არ ექვემდებარება.**

ლოგიკას რომ ექვემდებარებოდეს, ხარძიანის მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, სოცქსელში, ალბათ, არ გავრცელდებოდა ფოტო წარწერით: გია უდესიანი იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით დაპატიმრებულ გია სოსანაშვილის შვილის ნათლიაა ანუ წინდაწინვე მომზადდა ფონი, რომ უდესიანს სოსანაშვილთან კავშირი აქვს და ეს ერთი „ბანდაა“.

შეიძლება, ის ვერსიაც გაჩნდეს, რომ ხარძიანის მოცილებით ნაცმოძრაობის ერთმა, კერძოდ, სააკაშვილის ფრთამ ისარგებლოს. სხვათა შორის, სააკაშვილი, როგორც პარტიის ლიდერი, ზემოხსენებულ კვლევაში არ ფიგურირებს ანუ გამოდის, რომ იგი მხოლოდ დასავლეთმა კი არა, საკუთარმა გუნდმაც განირა. მიშა აღიარებს, რომ აღვირი არ აქვს — ყველა სიგიჟეზე წამსვლელია.

რატომ არ აქვს არსებობის უფლება ვერსიას, რომ ხარძიანის მკვლელობა ყოფილი მმართველი გუნდის რომელიმე ფრთას თავად მიშამ დააბრალოს? — ამით ხომ, გარკვეულწილად, „მეცოცხეებს“ გაემიჯნება და იტყვის, მეც სწორედ მაგათ დამღუპესო?

პიარი, ქაღალდისა არ იყოს, ყველაფერს იტევს...

ხაზს ვუსვამთ: არსებობის უფლება ნებისმიერ ვერსიას აქვს...

რაც შეეხება სპეცსამსახურებს, რა თქმა უნდა, არსებობს საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ქვეყანა, რომელსაც არეულობა აწყობს, რამეთუ სათავეში საკუთარი ძალა მოიყვანოს.

ქართველები ქუჩაში შიმშილის გამო არასოდეს გამოსულან.

ქართველები ქუჩაში ღირსების, შელახული თავმოყვარეობის, უსამართლობის გამო გამოდიან!

იმაზე დიდი უსამართლობა, როცა დატერორებულ ადამიანს კლავენ, აღარაფერია!

ბესო ხარძიანის მკვლელობა მათთვის, ვინც „ოცნებას“ კრიჭაში უდგას, დამატებითი არგუმენტია, რომ მთავრობის სახლში გაშვება მოითხოვოს!

სისხლი ხალხსაც ზაფრავს და, ყველა ვარიანტში, პასუხს მმართველ გუნდს მოსთხოვს. ყველაფერ ამას ყბადაღებული კოჰაბიტაციაც ამძაფრებს.

— ხომ გეუბნებოდით, კოჰაბიტაცია დაგვლუპავსო? ნაცები ისევ ჩვენ გვხოცავენ და გვატერორებენ! — უკვე ამბობენ სოციალურ ქსელებში „ოცნების“ მომხრეები.

მიზანი ამართლებს საშუალებას — ხალხი უკმაყოფილოა.

„ვიღაც“ საკუთარი **სისხლიანი სცენარის** ყველაზე დრამატულ, გნებავთ, **კულმინაციურ ეტაპზე გადადის.**

ხელწერა ერთია — გიორგი სანაია, ეროსი კიწმარიშვილი, იური ვაზაგაშვილი, ბესო ხარძიანი...

ვინ იქნება შემდეგი?!

ვერსიანიუსი

112 გხედავთ — SMS და ვიდეოზარის სერვისი ყრუ და სმენადაქვეითებულთათვის

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის SMS და ვიდეოზარი 27 მარტიდან ხელმისაწვდომია მთელ საქართველოში, 24 საათის განმავლობაში. სერვისი უფასოა და განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის.

„ახალი სერვისი მნიშვნელოვნად შეცვლის ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა ცხოვრებას, ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას და ინტეგრაციას საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კომპლექსური მომსახურება — SMS და ვიდეოზარი, მხოლოდ სამ ევროპულ ქვეყანაშია დანერგილი: ჩეხეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთსა და მალტაში“, — განაცხადა 112-ის ხელმძღვანელმა გიორგი ბიჭაშვილმა ახალი სერვისის პრეზენტაციაზე.

ღონისძიებას 100-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ახალი სერვისის უშუალო ბენეფიციარები.

„112-ის ახალი მომსახურება, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის, შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს და პირდაპირ პასუხობს, როგორც საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს“, — აღნიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო დეტალური ინფორმაცია 112-ის ახალი სერვისის შესახებ, მათ შორის, ვიდეორგოლები და საინფორმაციო მასალები, რომლებიც მარტსა და აპრილში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელდება. პრეზენტაციის დროს სერვისის მომხმარებელ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ადგილზე დარეგისტრირებულიყვნენ 112-ის მონაცემთა ბაზაში და თავად შეემოწმებინათ ახალი მომსახურების გამართულობა.

„გაერო სიამაყით გააგრძელებს საქმიანობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის და მათთან ერთად. ვფიქრობ, ეს ჩვენი საუკეთესო საქმეა, რადგან სწორედ ასე შევძლებთ ავაშენოთ საზოგადოება, სადაც ყველას უფლება დაცულია, სადაც ადამიანები პატივისცემით ეკიდებიან ერთმანეთს“, — განაცხადა გაერო-ს ელჩმა საქართველოში ნილს სკოტმა.

112-ის ინიციატივა ხორციელდება გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. სერვისის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ყრუთა კავშირი, ხოლო გაერო-სა და შვედეთის ელჩებმა მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო კამპანიაში, რომლის მეშვეობითაც ინფორმაცია ახალი სერვისის შესახებ ვრცელდება სატელევიზიო ეთერსა და სოციალურ მედიაში.

112-ის უფასო SMS და ვიდეოზარის სერვისი განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის. სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია. სარეგისტრაციო ფორმის შევსება შესაძლებელია 112-ის ვებ-გვერდზე www.112.ge. ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, გადაუდებელ შემთხვევებში შესაძლებლობა აქვთ მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ვიდეოზარის საშუალებით დამოუკიდებლად დაუკავშირდნენ 112-ს. გადაუდებელი დახმარების შესახებ შემოსული შეტყობინება სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, საპატრულო პოლიციასა და სახანძრო/სამაშველო სამსახურს გადაეცემა. ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისგან შემოსულ შეტყობინებებს მიიღებენ ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები.

„ვერსიანიუსი“

რა ინფორმაცია აქვს ნათია მიქიაშვილს ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილზე

სად არის, რას აკეთებს და ვისთან მიდის უკრაინაში — ხმაურიანი ჟურნალისტის არა-ჩვეულებრივი პირადი და პოლიტიკური ანატომია

ვანო პავლიაშვილი

...მაშინ, როცა ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში წავიდა, ჩემი არაოფიციალური „ფან-კლუბი“ გახსნა — ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრა. ჰოდა, მართალია, ინტერვიუებს არ იძლევა, მაგრამ აბა, მე უარს როგორ მეტყოდა?! შევხვდით, ყველაფერზე ვისაუბრეთ, ცოტა ვიფანტაზიორეთ კიდეც... გავარკვიე, რომ „ოცნების“ არადინამიურობა არ მოსწონს, ნაცმოძრაობას სექტად არ მიიჩნევს და არ თვლის, რომ ქვეყანა ინგრევა... საერთოდ, ლაღი ადამიანია, მაგრამ ისეთ გადაცემებს აკეთებდა, მტრისას — ნაციონალებს სულ ჟრუანტელი უვლიდათ. მეტიც, 7 ნოემბერიც ლამის მას დააბრალეს... მერე, „ოცნებაც“ აითვალწუნა... ხანმოკლე ხმაური იმით დამთავრდა, რომ გადაცემა „დააპაუზა“ და მედიასივრციდან გაქრა. მოკლედ, სად არის, რას აკეთებს და ვისზე რა იცის? — თქვენს წინაშეა ჩემი და „ვერსიის“ არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ „ანატომიის“ ხმაურიან წამყვან ნათია მიქიაშვილთან.

— ნათია, საუბრის დაწყებას სხვანაირად ვგეგმავდი, მაგრამ ვერ გავიგე, რა ოფისში დამიბარე. ერთი, მითხარი, სად ვართ?

— ეს საინვესტიციო ჰოლდინგი „სი-ბი-ესია“ და ძალიან ბევრ სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ.

— ეს შენი ბიზნესია?

— (იცინის) რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, ბაზრის კვლევა, მარკეტინგი, სხვადასხვა მონაცემის მოგროვება და პიარი მევალება ანუ პატარ-პატარა „ანატომიებს“ ვაკეთებ, ოღონდ — ჩემთვის და ტელევიზიით აღარ გადის.

— ესე იგი, კომპრომატებს აგროვებ!

— არა. სიტყვა „კომპრომატი“ არ მიყვარს, უბრალოდ, კომპანიაზე, ბაზარზე, ბიზნესზე, ფულსა და ასე შემდეგ ინფორმაციებს ვაგროვებ...

— ნათია, ნაცები ერთ ამბავში არიან, ინვესტიციები აღარ იდებაო და შენ რომელ ინვესტიციაზე მელაპარაკები?

— მოდი, ობიექტურები ვიყოთ: რაღაცები ნამდვილად კეთდება.

— ახლა, არ მითხრა, რომ 105 საწარმოც აშენდ-გაიხსნა...

— არ დამითვლია და, შესაბამისად, ამ საკითხში კომპეტენტური არ ვარ, თუმცა იმას გეტყვი, რომ ჩვენი კომპანია, მართლაც, ძალიან დიდ ინვესტიციას დებს.

— ...აქტიური ჟურნალისტიკიდან წასვლა რამ ან ვინ გაიძულა?

— ხომ გახსოვს, რამდენი წლის ვიყავი, ჟურნალისტობა რომ დავიწყე?

— მაგას რა დამავიწყებს — ჩემს ხელში ხარ გაზრდილი ხარ...

— (იღიმება) კი, მასეა... რამ მაიძულა? — ჯერ ერთი, ჩვენი სფერო ძალიან დაბინძურდა.

— რას გულისხმობ?

— თუ დააკვირდი, სოციალურ ქსელში პოსტებსაც აღარ „ვდებ“.

— ან დებ, მაგრამ ინგლისური შრიფტით, რის გამოც ნერვები მეშლება...

— ტელეფონში ქართული შრიფტი არ მაქვს — ვერ ვაინსტალირებ და ამიტომ. მოკლედ, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ვთვლი, ახლა ის პერიოდი არაა, როცა ჟურნალისტი უნდა ვიყო.

— რამდენიმე თვის წინ, როცა დააანონსე, რომ საკუთარი სტუდია გააკეთე და „ანატომია“ შეიძლება, „რუსთავი 2“-ზე გასულიყო, სხვა დრო იყო?

— კი, კი, კი...

— შეგაშინეს?

— არა, ვანო, ვის უნდა შევეშინებინე — თავის დროზე ვერ შემაშინეს და ახლა შემაშინებდნენ?! — შეშინება არავის უცდია — ერთადერთი ფაქტი იყო, რომელზეც ტელევიზიით ვისაუბრე. ასე რომ, შეშინება-არშეშინებაზე, მგონი, არ უნდა გეკითხა.

— ნათია, ახლა „ბრძენი კაცივით“ არ დამიწყო, ეს კითხვა არ უნდა დაგესვა...

— არა... შეშინება-არშეშინებაზე ჩემი ბეგრაუნდის გამო არ უნდა გეკითხა... მგონია, მოვიდა დრო, როცა ჟურნალისტიკაზე უარი უნდა მეთქვა.

— ეს უარის თქმა დროებითია?

— არ ვიცი, ვანო... ჩემი ხასიათი მეც არ ვიცი...

— პირველი იყავი, ვინც ზვიად ჯანყარაშვილზე დაიწყო...

— (სიტყვას მაწყვეტინებს) რა დავიწყე?

— მახსოვს, „ანატომიას ამზადებდი...

— კი, ვამზადებდი...

— ისე, „კარენოი“ დედოფლისწყარელი ვარ, მაგრამ ამ ქალაქის საპატიო მოქალაქედ შენ აგირჩიეს...

— ძალიან გამიხარდა...

— მოკლედ, უხერხული რაღაცები უნდა გკითხო...

— მკითხე...

— პრემიერის ცოლისდის ქორწილშიც დაგპატიჟეს...

— ქორწილში ვიყავი...

— ჰოდა, რა მოხდა, რატომ გადაწყვიტე, რომ „ანატომია“ პრემიერის ნათესავზე გაგეკეთებინა?

— „ანატომია“ უახლოეს მეგობარზეც გავაკეთე, თან ისეთი, რომ იმ ადამიანის შემორიგება გამიჭირდა. ადრეც ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება: თუ ჩავთვლი, რომ რაღაც არასწორია, ადამიანს გასაგებად ავუხსნი, თუ გინდა, პასუხი გამეცი, თუ გინდა — არა-მეთქი...

— თუ ადამიანი ახლობელია, არ ჯობია, ვიდრე „გაატელევიზორებ“, უთხრა, რომ არასწორად იქცევა?

— შენ გგონია, ჯანყარაშვილი ჩემი ახლობელია? — ნანახიც არ მყავს. სხვათა შორის, იმ ქორწილშიც ძალიან ცოტა ხნით მივედი და, ჩემს გარდა, ბევრი ჟურნალისტი იყო. პრობლემა არაა — ნაცმოძრაობის უამრავ წარმომადგენელთან ვმეგობრობ და ვთვლი, მაგალითად, გია გეწაძე, რომელზეც ვგიჟდები, სამუშაოდ საზღვარგარეთ რომ წავიდა, ქვეყნისთვის მინუსია — მგონი, ასეთი კონსტიტუციონალისტი და იურისტი დღეს საქართველოს არ ჰყავს. ვაპირებ, კიევში ჩავიდე და ვნახო.

— მიშასაც ნახავ?

— მიშა მეგობარი არაა და რატომ უნდა ვნახო?.. რაც უნდა მოხდეს, კონიუნქტურაში ვერავინ მომაქცევს — ის ვარ, ვინც ვარ და მასთან ვმეგობრობ, ვისთანაც მინდა!

— ჟურნალისტი სწორედ ასეთი „გიჟი“ უნდა იყოს, გეთანხმები...

— არ ვთვლი, რომ ეს სიგიჟეა, უბრალოდ, ყველაფერ სხვას სიყალბეს ვეძახი...

— ნაციონალები ხომ ვერ გიტანდნენ?

— ვერ მიტანდნენ...

— და მგონი, ვერც „ქოცები“ გიტანენ...

— რატომ უნდა ამიტანონ?.. მეგობრები „ოცნებაშიც“ მყავს და ნაციონალებშიც. არსებობენ ადამიანები, ვისაც ვუყვარვარ, მაგრამ პოლიტიკოსები რატომ უნდა მიტანდნენ?!

— ნათია, როცა ახალ ხელისუფლებაზე „ანატომიის“ მომზადება დაიწყე, შენი მეუღლე პოლიციაში მუშაობდა...

— სხვათა შორის, უმუშევარი ამის გამო დარჩა და, მიუხედავად იმისა, რომ „ოცნებაში“ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, დასახმარებლად არავისთან მივსულვარ...

— ესე იგი, შენი მეუღლე პოლიციიდან „ანატომიის“ გამო გაუშვეს?

— რაღაც ავარიას „ტენიდნენ“, არადა, ამ დროს ჩემსა და შვილთან ერთად, ბათუმის დელფინარიუმში იყო.

— „ანატომიის“ მომზადება რომ დაიწყე, ამ გართულებაზე რატომ არ იფიქრე?

— რატომ გგონია, რომ არ ვიფიქრე? ჩემს მეუღლეს ავუხსენი, ასეთი ამბავია-მეთქი. კარგი, შენს საქმეს მიხედეო... მეორე ნახევარში ძალიან გამიმართლა — როგორც მე, ისიც ჩემს ყველა გადაწყვეტილებას აბსოლუტურად გაგებით ხვდება.

— ძველ ან ახალ ხელისუფლებას შენი „დავერბოვკება“ უცდია?

— არა.

— წარსულზე ლაპარაკი შეიძლება?

— როგორ არა...

— მაშინ მითხარი, აი, მაშინ, ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის პიარი რომ იყავი, რა მოხდა? — საქმე სიყვარულზე გაცვალე?

— გეხვეწები, რა, ვანო, ასეთი რომანტიულიც არ ვარ... უბრალოდ, გიორგი იმ პარტიაში აღარ მოვიდა, იმ სიტუაციაში კი, მის გარდა არავის ვიცნობდი. ადამიანი, რომელიც ჩემი საყრდენი უნდა ყოფილიყო, არ მოვიდა, ამიტომ ავდექი და წამოვედი — ყველაფერი ძალიან მარტივია.

— გიორგი ვინაა?

— თარგამაძე.

— რა ვიცი, თავის დროზე ითქვა, შტაბიდან ხაჭაპურის საყიდლად გავიდა და გათხოვდაო...

— ეს უტრირებულია. ასე რომ, სირთულეებს ნუ ეძებ!

— 7 ნოემბრის პროვოცირებასაც გაბრალებდნენ...

— მე რატომ მაბრალებდნენ? ამას პროვოკატორები ამბობენ.

— 7 ნოემბერს, ჩართვების დროს, წმინდა პროფესიულ მოვალეობას ასრულებდი თუ სხვა რამეზე ფიქრობდი?

— ვანო, როცა საქმეს ვაკეთებ, სხვა არაფერზე ვფიქრობ. იმ დროს, როცა ვიცი, რომ ორი თუ ხუთი მილიონი ადამიანი მისმენს და მიყურებს, იმას ვაკეთებ, რაც ვიცი. ასე რომ, 7 ნოემბერი პროვოცირებული არ იყო და ყველა სასამართლო, სადაც ამის დამტკიცებას ცდილობდნენ, წააგეს. 7 ნოემბერს ეთერში იმას ვამბობდი, რასაც ვხედავდი.

— ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე: თქვი, რომ სპეცრაზმი სამების დარბევას აპირებდა?

— (იღიმება) არა, კაცო. შეგიძლია, ჩანაწერი ნახო...

— ნათია, შენი ხმაურიანი ჟურნალისტობა გირგვლიანზე სიუჟეტით დაიწყო. ეს სიუჟეტი სამართლიანობის გამო გააკეთე თუ, უბრალოდ, პოპულარობა გინდოდა?

— არც ჟურნალისტობა მინდოდა და არც — იურისტობა.

— აბა, „წვენებში“ როგორ მოხვდი?

— კინორეჟისორობა მინდოდა და თეატრალურისთვის ვემზადებოდი, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ოჯახური კონსილიუმი შეიკრიბა და გადაწყვიტა, შვილო, საქართველოში კინო მკვდარია, სულ უფულო იქნები და მოდი, იურიდიულზე ჩააბარე, ფულს იშოვი და მერე, ფილმი გადაიღეო. მოკლედ, ოჯახის წევრებმა დამიყოლიეს და უნივერსიტეტში, იურიდიულზე ჩავაბარე.

— სამსახური პროფესიით ვერ იშოვე და ჟურნალისტიკაში ამიტომ მოხვედი?

— სამსახურის პროფესიით შოვნა არც მიცდია, რადგან ჟურნალისტობა რომ დავიწყე, მეორე კურსზე ვიყავი და ისე ჩამითრია, პროფესიის შეცვლაზე აღარც მიფიქრია.

— მითხარი: გირგვლიანის სიუჟეტი პოპულარობისთვის გააკეთე?

— პოპულარობა რა შუაშია? ვანო, სტატიას იმიტომ წერ, რომ პოპულარობა გინდა?

— არც უამისობაა, თან მერვე კლასიდან ვმუშაობ და მაშინვე მინდოდა, რომ პოპულარული გავმხდარიყავი...

— 6 წლის ვიყავი, ჩემი პირველი სტატია საბავშვო გაზეთ „ნერგში“ რომ გამოქვეყნდა, ოღონდ ეს იმიტომ არ გამიკეთებია, რომ პოპულარული გავმხდარიყავი. ძალიან პატარა ასაკში მქონდა ის, რასაც ხალხი 40 წლის ასაკში აღწევს — დასახული მიზნის მიღწევა 14 წლისამ დავიწყე: „აირექსში“ მოხალისე ვიყავი, მერე, ავტოფედერაციასა და სარეკლამო სააგენტოში ვმუშაობდი... ყველაფერს ვაკეთებდი, რისი გაკეთებაც ჩემი ასაკის ადამიანს შეეძლო და ამით ფულს ვშოულობდი.

— მშობლები ფულს არ გაძლევდნენ?

— მამაჩემი ომში დაიღუპა, დედას იმის საშუალება არ ჰქონდა, ჩემი ყველა სურვილი შეესრულებინა — თავის შემოსავალს ჩემს განათლებაში დებდა. ასე რომ, ჩემს და დედაჩემის სურვილებსაც მე ვასრულებდი.

— პოპულარობა, უფრო სწორად, მოთხოვნადობა, ავტომატურად, კარგ შემოსავალს ნიშნავს...

— ვანო, ეგებ, იმიტომ ხარ საჭირო, კარგ საქმეს რომ აკეთებ?.. ჩემთვის პოპულარობა პანაცეა არაა — თოქ-შოუებსა და ინტერვიუებს თავს ვარიდებ, თუმცა შენ იმიტომ დაგთანხმდი, რომ შენ ხარ.

— მე ავანტიურისტი ვარ, შენ?

— ჩამოყალიბებული ავანტიურისტი ვარ! ისე, რისკიანიც ვარ — შემიძლია, მაშინაც გავრისკო, როცა ამის საფუძველი არ მაქვს, თუმცა ყოველთვის (მაგიდაზე აკაკუნებს, — ვ.პ.) მიმართლებს!

— დავიჯერო, ისეთ სიტუაციაში არასოდეს ყოფილხარ, როცა გამოსავლის პოვნა გაგჭირვებია?

— რა თქმა უნდა, ვყოფილვარ — მაგალითად, როცა „მაესტროში“ ფინანსურად მძიმე მდგომარეობა იყო.

— რატომ არ წახვედი?

— რატომ უნდა წავსულიყავი? — იმას ვაკეთებდი, რაც მომწონდა, თან მჯეროდა, „მაესტრო“ ფეხზე დადგებოდა.

— 2008 წელს, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში, დიდუბის მაჟორიტარად კენჭი რომ იყარე, ესეც ავანტიურა იყო?

— ესეც, როგორც მთელი ცხოვრება, დიახ, ავანტიურა და ერთგვარად საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევის მცდელობაც იყო...

— ისე, ჩემი არ იყოს, ძალიან მძიმე წარსული გაქვს...

— (იცინის) არ ვთვლი, რომ მძიმე წარსული მაქვს...

— მათქმევინე: ნაციონალებში მეგობრები მეც მყავს... ჯონდისთანაც ვმეგობრობ, შენ კი, კენჭს მისი პარტიიდან იყრიდი... აი, ალექსანდრე ხომერიკთან რაღა გინდოდა?

— ხომერიკთან რა მინდოდა?

— ჰო, სოციალურ ქსელში თქვენი ერთად გადაღებული ფოტოც ტრიალებს...

— გეტყვი, რაც მინდოდა...

— არადა, რუსეთუმეს არ ჰგავხარ.

— არ ვარ, კაცო, რუსეთუმე, ვგიჟდები დასავლეთსა და დასავლურ ღირებულებებზე.

— მოკლედ მიპასუხე: ნატო თუ რუსეთი?

— საქართველო! სხვა არჩევანის წინაშე ვერ დამაყენებ. ვთვლი, რომ ყველა სახელმწიფოს ამოსავალი თითოეული ოჯახია. სადაც ჩემი ოჯახი კარგად იქნება...

— შენი ოჯახი კარგად ევრაზიულ კავშირში რომ იყოს...

— არ მგონია, ევრაზიულ კავშირში კარგად ვიყოთ!

— აგაშენა ღმერთმა!

— ჰოდა, ხელისუფლება ხომ გვყავს — რამდენი ხმითაა არჩეული?

— ეს შენ უნდა იცოდე!

— (გულინად იცინის) ეს რიტორიკულად ვიკითხე... ჰოდა, არ ვთვლი, რომ რთული ან მძიმე ცხოვრება მქონდა.

— ხომერიკზე მიამბე...

— 2010 წელია, „მაესტროში“ ვმუშაობ. მახომ დამირეკა, გულაშვილმა — ვმეგობრობთ და მითხრა, მოსკოვში რამდენიმე ჟურნალისტი მიმყავს, ეს, ისო. ზუსტად ვიცი, რა შეფასებაც მოჰყვებოდა. სხვათა შორის, იმ სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდი, ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი გავიგე — ჯერ ერთი, დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები ვნახე...

— გამსახურდიას ხელისუფლების?

— არა — შევარდნაძის. მოსკოვში ჩემი წასვლა, სხვა თუ არაფერი, იმად ღირდა, რომ ჯემალ გოგიტიძესთან ბოლო ინტერვიუ ჩავწერე — ამის მერე, მალევე დაიღუპა.

— დაიღუპა თუ, როგორც ამბობენ, მოკლეს?

— არ ვიცი... მოსკოვში რატომ არ უნდა წავსულიყავი? ჟურნალისტი როცა ხარ, არ უნდა ეცადო, გაიგო, კედლის მიღმა რა ხდება? ვანო, გეგულება ამერიკელი ჟურნალისტი, რომელიც გდრ-ში ჩასვლაზე, რომ გაეშვათ, უარს იტყოდა?

— არა, მაგრამ ხომერიკთან სურათი რამ გადაგაღებინა?

— თვითმფრინავში, სურათი მიშასთანაც მაქვს გადაღებული.

— რას ლაპარაკობ... ფოტო ივანიშვილთანაც გექნება...

— მასთან ერთად არ მიმგზავრია... შევარდნაძესთან მაქვს სურათი გადაღებული...

— შევარდნაძე კარგი ტიპი იყო...

— (იღიმება) სხვა არავინ მოგწონს?

— კი, მაგრამ შევარდნაძემ ჩვენი ცხოვრება თუნდაც ნავთობსადენით შეცვალა... შენი აზრით, „მე-9 არხი“ რატომ დაიხურა?

— მგონია, რომ დამფუძნებელს ბევრ არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ. არადა, ამ ტელევიზიისგან შეიძლებოდა, ფანტასტიური არხი გამოსულიყო...

— ნათია, შენზე ჭორებს რომ იგებ, ბრაზდები?

— არ მაღელვებს: ან კარგად უნდა ილაპარაკონ, ან ცუდად. პრობლემა ისაა, როცა არ ლაპარაკობენ.

— და რაკი შენთვის პატარ-პატარა „ანატომიებს“ აკეთებ, ყველაზე ბევრი ცუდი ინფორმაცია ვისზე გაქვს?

— ყველაზე. საერთოდ, „ანატომია“ პოზიტივს არ გულისხმობს.

— „9+1“ რა არის?

— კარგი, რა, ნათია, ყველაფერს ხაზი გადაუსვი და ყოფილი პრემიერის საქმიანობას თვალს აღარ ადევნებ?

— აა, ფილმი... კონსულტანტობაზე დიდი სიამოვნებით დავთანხმდები... ვანო, ნუ ცდილობ, რაღაცასთან გამაიგივო: ყოველთვის ჩემს საქმეს ვაკეთებდი.

— იმის გათვალისწინებით, რომ შენი პოლიტიკური დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა, პოლიტიკაში შესვლას კიდევ ეცდები?

— არ მგონია... მივხვდი, რომ ბუნებით საჯარო მოხელე არ ვარ — ძალიან ქაოტური ვარ.

— სახლშიც ასეთი ხარ?

— არა. მაგალითად, ტანსაცმელი კარადაში ფერების მიხედვით მილაგია.

— ნუ ღადაობ...

— წამოდი და განახებ...

— შენს გაკეთებულ საცივსა და ხაჭაპურსაც გამასინჯებ?

— კერძების მომზადება ძალიან მიყვარს. როცა პრობლემა მაქვს, სამზარეულოში ვიკეტები, ვფუსფუსებ და ვმშვიდდები...

— ნათია, გაფიცებ, რამე ისეთი მითხარი, რომ სათაურად გამომადგეს...

— ყვითელი გინდა, არა?

— არა, ადამიანო, ყვითელი კი არა, პოლიტიკური!

— პოლიტიკას გავემიჯნე!

— პოლიტიკას იმიტომ გაემიჯნე, რომ შეგაშინეს — აბა, ესე იგი, საშიში ხარ!

— საშიში რატომ ვარ?

— რა ვიცი, ყველაზე ინფორმაცია მაქვსო და...

— ამ კომპანიაში ჩემი ერთ-ერთი ვალდებულება ისაა, რომ ყველაფერი ვიცოდე. ჰოდა, დაახლოებით ვიცი, სად რა ხდება...

— ამ კომპანიაში როგორ მოხვდი?

— განცხადება რომ გავაკეთე, ჟურნალისტიკიდან წავედი-მეთქი, ახლობელმა დამირეკა და მითხრა, რომ ეს კომპანია ეძებდა კადრს, ვისაც კარგი კავშირები ექნებოდა, ბაზარიც ეცოდინებოდა, ბიზნესიც და ჟურნალისტიკაც.

— ...ნათია, ბევრჯერ გყვარებია?

— არა.

— სიყვარულშიც ავანტიურისტი ხარ?

— (იცინის) არა...

— პრემიერ ღარიბაშვილს რომ შეხვდე, რაზე დაელაპარაკები?

— პირველ რიგში — ბიზნესსა და ეკონომიკაზე.

— ანუ, იმით დაინტერესდები, ბიზნესი თავისუფალია თუ არა?

— ისეთი თავისუფალი, როგორც დღესაა, ბიზნესი არასოდეს ყოფილა, მაგრამ რაღაც რჩევას მივცემდი, რაც უკეთ ვიცი.

— ვაიმე, ეს რა მკრეხელობაა? — ის პრემიერია, შენ — საინვესტიციო კომპანიის თანამშრომელი და რა უნდა ურჩიო?

— მერე რა? ის სამი წელია, პრემიერია, მე კი, 15 წელია, ამ საქმეს ვაკეთებ. მგონია, რომ რაღაც პრობლემები, რაც მთავრობას აქვს, შეიძლება, მოგვარდეს...

— 2012 წლის შემდეგ, შენი ცხოვრება, ფინანსების კუთხით, წინ წავიდა თუ უკან?

— ყველაფერი ისევეა, როგორც ადრე იყო და ამაზე დამცინიან: მეგობრები თვლიან, რომ რაღაც შანსები არ გამოვიყენე...

— გაფიცებ, არ დამიმალო, ივანიშვილმა რამდენი გადაგიხადა?

— გჯერა, რომ ბიძინამ ფული მომცა? მაშაყირებ?

— რომ მოეცა, აიღებდი?

— თუ არ მეკუთვნოდა, რატომ ავიღებდი? ასეთი შემოთავაზება არასოდეს არავისგან მქონია!

— ნაციონალების გეშინოდა? — ბოლოს და ბოლოს, შვილი გყავს.

— შეიძლება, სხვებს ემუქრებოდნენ, მაგრამ მე არ მიგრძნია.

— „9+1“-ის კონსულტანტად რომ მიგიწვიონ, დათანხმდები?

მიდი და დამიმტკიცე, რომ ასე არაა!

— (იცინის) კარგი, რა!

— რაც აქტიურ ჟურნალისტიკაში აღარ ხარ, არაერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არ გინდა, „ანატომია“ ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა-თვითმკვლელობაზე ან იური ვაზაგაშვილის აფეთქებაზე გააკეთო?

— ეროსის საქმე ძალიან მაინტერესებს. საერთოდ, „ანატომიის“ არსებობა, დედას გეფიცები, მამუკა ღლონტთან ერთად, ეროსის დამსახურებაა — ასეთი გადაცემა სწორედ მას უნდოდა.

— „ანატომიას“ ანატომიაც მან დაარქვა?

— არა, სახელი ჩემია: ვმსჯელობდით, რა უნდა დაგვერქმია და უცებ ვთქვი, ადამიანის ან ბიზნესის ანატომიური შესწავლა-მეთქი. მაშინ „მაესტროს“ რეჟისორი ეკა აკობია იყო და ეკამ თქვა, მოდი, „ანატომია“ დავარქვათო...

— ეროსის საქმეზე რამე ექსკლუზიური ინფორმაცია გაქვს?

— კი, რაღაცები ვიცი.

— აბა, მითხარი...

— ვერ ვიტყვი — იმ ადამიანს, ვინც ეს მითხრა, ვერ გავცემ, მაგრამ ეროსის საქმეზე ძალიან საინტერესო „ანატომიას“ გავაკეთებდი!.. სხვათა შორის, ეროსის ამბავი რომ მოხდა, ჟურნალისტიკაში ვიყავი და ამ თემაზე მუშაობაც დავიწყე...

— ...„ოცნების“ მთავარ შეცდომად რას თვლი?

— რევანშს. თუ ადამიანს ბრალი მეორე ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში ან ჯანმრთელობის დაზიანებაში მიუძღვის, პასუხი აუცილებლად უნდა აგოს, ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი, ჩემი აზრით, ქვეყანა დაზიანდება.

— ამას რატომ ამბობ?

— ყველაზე მთავარი ისაა, ქვეყანა ეკონომიკურად გადარჩეს. სხვა დანარჩენი კი, ბელეტრისტიკაა. თუ ქვეყნის სტაბილურობა არ უზრუნველყავი, ფულს არავინ შემოიტანს.

— კი ბატონო, მაგრამ თუკი მიშამ ბიუჯეტის ფულით ქაშმირის პალტოები იყიდა და ამის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს, რევანშია?

— ვთვლი: პრეზიდენტს აქვს უფლება, ბიუჯეტის ფულით ქაშმირის პალტო იყიდოს. ვთვლი, რომ სახელმწიფო მოხელის, მით უმეტეს, მინისტრის ხელფასი 15 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს.

— თვლი, რომ ბიუჯეტის ფულით ციკნის ჭამაც შეიძლება?

— თუ მაღალი დონის სტუმარია, პროტოკოლი ციკნის მწვადს კი არა, ბევრად უფრო ძვირიან კერძის შეკვეთასაც ითვალისწინებს. მოკლედ, მგონია, რომ ხელისუფლება კარგად უნდა გამოიყურებოდეს და მინისტრს სოციალური პრობლემებიც არ უნდა ჰქონდეს, თორემ ხელი რაღაცაზე წაუცდება. ისე, მიშას წინააღმდეგ საქმე მხოლოდ ქაშმირის პალტოების კი არა, ბევრი სხვა რამის გამოცაა აღძრული.

— მაგალითად, ედავებიან 7 ნოემბრის ორგანიზებას, მაგრამ ამას როგორ დაუმტკიცებენ?

— ვანო, ნახე, როგორი სასამართლო გვაქვს.

— როგორი?

— ნინო გვენეტაძის, რომელიც ჩემი ლექტორი იყო, ძალიან დიდი იმედი მაქვს — მასზე წნეხს ნებისმიერი პოლიტიკური ძალისგან გამოვრიცხავ. საერთოდ, ქვეყანა ეკონომიკისა და მართლმსაჯულებისგან შედგება. თუ მართლმსაჯულება დამოუკიდებელია, ეს დემოკრატიის პიკად ითვლება და ამ დროს ეკონომიკის წარმატებაც რთული არაა.

— ...ნათია, ყოფილი ჟურნალისტები არ არსებობენ. ჰოდა, მოდი, ახლა კითხვა შენ დამისვი...

— შენი რომანის იდეა ძალიან მომეწონა — მგონია, რომ 1980-იანელებს ცხოვრება ყველაზე საინტერესო პერიოდში გვიწევს. ეს დრაივია, დარწმუნებული ვარ, შენი რომანიც ძალიან მაგარი იქნება და ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ. გთხოვ, რა, გამოქვეყნებამდე წამაკითხე.

— რა პრობლემაა... სხვას არაფერს მკითხავ?

— ხელში რამე ვიდეო ან აუდიოჩანაწერი რომ მეჭიროს, აუცილებლად გკითხავდი...

— ფარულად ბევრი ჩაგიწერია?

— ძალიან, თუმცა ამ ჩანაწერებიდან ცოტა გამომიყენებია.

— ჟურნალისტიკა ცოდვაა?

— ვანო, სხვაგან ნუ მიდიხარ...

— სხვაგან კი არ მივდივარ, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციას ვახდენ: ჩუმად ჩაწერილი მასალით, მინიმუმ, დაშანტაჟება შეიძლება...

— ჩუმად იმიტომ ჩამიწერია, რომ თუ მიჩივლებდა, სასამართლოში ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა.

— უჩივლიათ?

— არა...

— ნათია, ამ ქვეყანაში ადამიანების ნაწილი მუდამ დაბოღმილია. შენ კი...

— ლაღი ვარ...

— სილაღე წარმატების მიღწევაში დაგეხმარა?

— ძალიან...

— თვლი, რომ ქვეყანა იღუპება?

— არა, არა... არც ერთი ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ ქვეყანა დაღუპოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებაში აღარ იქნება.

— ნათია მიქიაშვილი საქართველოში კი არა, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში რომ დაბადებულიყო, უფრო წარმატებული იქნებოდა?

— არა, საერთოდ, არ გამოვჩნდებოდი.

— რატომ?

— მგონი, ასაკობრივია — რაც 30-ს გადავაბიჯე, საოცრად მინდა ჩემს რაჭაში ცხოვრება.

— წადი და იცხოვრე.

— ვერ წავალ: ხომ გგონია, რომ ბიძინამ ბევრი ფული მომცა...

— მე კი არ მგონია, ხალხი ამბობს...

— გაჩუმდი, შენ მითხარი... ბინა ვიყიდე და კრედიტს ვიხდი. ორ შვილს ვზრდი — რომ ვიცოდე, რაჭაში ჩემი შვილები იმ განათლებას მიიღებენ, რასაც თბილისში იღებენ, დედას გეფიცები, აუცილებლად წავიდოდი.

— წარმოვიდგინე თავწაკრული ნათია...

— თავზე რატომ უნდა წავიკრა? — ისეთიც ბევრია საქმე, რომელსაც თავზე წაკვრა არ სჭირდება...

— ისე, რეაქტიული რაჭველი პირველად ვნახე...

— რაჭველი ქალი უბედურებაა! ჩვეულებრივი სეპარატისტი ვარ — რაჭველებზე ვგიჟდები.

— ქმარი როგორ გიძლებს?

— ჩემი ქმარი იმერელია, სამტრედიელი — სამტრედიაზეც ვგიჟდები და ყოველ შაბათ-კვირას იქ ვარ. საერთოდ, სოფელი მიყვარს — „ურბანისტკა“ არ ვარ...

— შეგიძლია, საკუთარ თავს მიუტევო?

— რა თქმა უნდა...

— ბოლოს, ნათია, წარმოიდგინე, რომ ივანიშვილი ვარ და სამი რამე მთხოვე...

— შენ რომ ბიძინა იყო და ასე გეჭორავებოდე, აუ, რეებს მოგიყვებოდი...

— ხომ გითხარი, ბიძინა ვარ-მეთქი. მომიყევი..

— რაღაცებსაც გთხოვდი...

— მთხოვე...

— მაგალითად, გთხოვდი, რომ ბავშვთა ონკოდაავადებების მხოლოდ 22 წლამდე დაფინანსება უსამართლოდ მიმაჩნია...

— მეც, მაგრამ ხელისუფლებაში აღარ ვარ და როგორ დაგეხმარო?

— ხომ ბიძინა ხარ და პატარა ფონდი გამიკეთე, რა, საიდანაც 22 წელს ზემოთ ონკოდაავადებულნიც დაფინანსდებიან.

— კიდევ ორი სურვილი დაგრჩა...

— სახელმწიფო საქმეებში ერევი?

— არა-მეთქი, ვა...

— საქართველოში ისეთი „დისნეი ლენდი“ გააკეთე, რომელიც მთელ ამიერკავკასიაში სალაპარაკო იქნება...

— „ციცინათელა“ ხომ გავაკეთე...

— „დისნეი ლენდი“ მინდა...

— პოლიტიკურიც მთხოვე...

— (იცინის) პოლიტიკიდან ხომ წასული ხარ!

— სტაფილოს წვენი არ გინდა?

— ვსვამ — ძალიან კარგია!

— შენი ბოლო სიტყვა „ანატომიური“ იყოს...

— რაჭაში მინდა...

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა დანაშაულია!“

უნდა მივიყვანოთ თუ არა ბავშვი სკოლაში 5 წლის ასაკში? კვლევები აჩვენებს და სპეციალისტებიც თანხმდებიან, რომ ამ კითხვის ერთადერთი პასუხია — არა! თუმცა, ამ კითხვას უახლოეს მომავალში საბოლოოდ პარლამენტმა უნდა უპასუხოს სადაც, კანონმდებლებმა, პირველი მოსმენით უკვე დაუჭირა მხარი ნაციონალი კობა სუბელიანის ინიციატივას, რომლის თანახმად, მშობელს, ბავშვის სკოლაში შეყვანა 5 წლის ასაკში შეეძლება.

სპეციალისტების აზრით, 5 წლის ასაკის ბავშვი, არც ფიზიკურადაა მზად, სკოლაში ისწავლოს, არც ემოციურად და არც ფსიქოლოგიურად. რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ჩვენ შვილებს სკოლაში 5 წლის ასაკში მიყვანის შემთხვევაში და როდის იჩენს ეს პრობლემები თავს? „ვერსია“ შეეცადა ამ კითხვებზე პასუხი მიეღო. ვფიქრობთ, ეს პასუხი, ბევრ მშობელს დააფიქრებს და ალბათ, გადააფიქრებინებს კიდეც შვილი „ადრეული სწავლისთვის“ გაწიროს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. იმედია, დააფიქრებს დეპუტატებსაც, მათ ვის ხელშიც, ჩვენი შვილების მომავალია და როგორც ირკვევა, პიროვნებებად ჩამოყალიბების პროცესიც.

„15-20 წუთში ისინი იწყებენ წრიალს, წუხან, წვებიან მერხებზე, უფლება რომ მისცე, იატაკზეც გაწვებიან, ამთქნარებენ, კონცენტრაციას ვეღარ ახდენენ, ეძინებათ... პერიოდულად მოფერების, ჩახუტების, კალთაში ჩაჯდომის, ზღაპრების წაკითხვის სურვილი უჩნდებათ. ამბობენ, რომ დაიღალნენ და თამაში უნდათ... როცა ამას ვერ აღწევენ, პროტესტს სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ... ხდებიან ნერვიულები, იწყებენ ტირილს, კალმის ღრღნას...“, — ასე აფასებენ თავად მასწავლებლები 5 წლის პირველკლასელთა ქცევებს. ამბობენ, რომ მათთან მუშაობა, საკმაოდ რთულია. სწავლის პროცესში შექმნილ პრობლემებზე საუბრობენ მშობლებიც. მათი თქმით, შვილების მეცადინეობა, მათაც და ბავშვებსაც, ნერვების ფასად უჯდებათ. და მაინც, მიუხედავად ამისა, მშობლებს ხშირად აქვთ სხვადასხვა მოტივაცია იმისთვის, შვილი 5 წლის ასაკში სკოლაში შეიყვანონ. მაგალითად: ბავშვი ტანად დიდი იყო; ბევრი ლექსი იცოდა; იმ პედაგოგს, რომელიც მომწონდა, იმ წელს აჰყავდა კლასი; ბაღში არ დადიოდა და არ ვიცოდი, სად დამეტოვებინა; ბავშვი თვითონ ითხოვდა სკოლაში წასვლას; თანატოლებთან შედარებით, განვითარებული იყო; ძალიან ცელქობდა და ვიფიქრე, სკოლაში ენერგიას დახარჯავდა“... ყველა ეს მოტივაცია, ერთი შეხედვით, გასაგებია, მაგრამ ყველაზე მთავარი, ცხადია ისაა, რა არის უკეთესი თავად ბავშვისთვის. მრავალი საერთაშორისო კვლევით დასტურდება, რომ ბავშვის სასკოლო მზაობა, სკოლაში შესვლის მომენტისათვის, მომავალში მისი აკადემიური წარმატების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. და თუ ასევე მრავალი კვლევა იმას

შფოთვა, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, თვითშეფასების დაბალი მაჩვენებელი, სწავლაზე გულისაცრუება... — ფსიქოლოგების თვალით დანახული 5-წლიანი მოსწავლეების მომავალი

რა ფსიქიკურ პრობლემებს უქმნის ბავშვს სწავლის ადრე დაწყება და რაფომ არ უნდა დაუჭიროს პარლამენტმა მხარი სუბელიანის კანონპროექტს“

ადასტურებს, რომ 5 წლის ბავშვების უმრავლესობა არ არის მზად სასწავლო პროცესში ჩასართავად, დასკვნა მარტივია — არ არის სასურველი, 5 წლის ბავშვი სკოლაში მივიყვანოთ.

გაცილებით მკვეთრ განცხადებას აკეთებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე, ფსიქოლოგი **ლევან ზარდალაშვილი** — მისი თქმით, 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა, დანაშაულია! **„ხუთი წლის ბავშვისთვის რთულია, ჩაერთოს იმ პროცესში, რასაც სწავლა ჰქვია. ამ ასაკში ბავშვს თამაში სჭირდება და არა სწავლა. ეს მომავალში თავს იჩენს ბევრი ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური პრობლემების სახით. ეს გაუმართლებელია!“**, — აცხადებს ლევან ზარდალაშვილი და იმასაც გვიხსნის, რა პრობლემები შეიძლება წარმოქმნას ბავშვის 5 წლის ასაკში სკოლაში შეყვანამ. მისი თქმით, 5 წლის ბავშვი, ფიზიოლოგიურადაც არ არის მზად იჯდეს გაკვეთილზე 35 წუთი, იმიტომ, რომ მისი ხერხემალი არ არის ჯერ ბოლომდე ფორმირებული. ანუ, ამ ასაკში სასწავლო პროცესში ჩართვა, მისთვის ფიზიოლოგიურადაც მავნეა. ხშირად, მათ მოტორიკაც კი არ აქვთ განვითარებული ისე, რომ შეძლოს კალმის ჭერა, წერა, მაკრატლის გამოყენება... **„ანუ, ის ფიზიოლოგიურადაც არ არის მზად სკოლაში შესასვლელად. გარდა ამისა, არსებობს ემოციური მზაობაც — ამ ასაკში ბავშვი ემოციურად მზად ნამდვილად არ არის, სასკოლო პროცესში ჩასართველად. მისთვის 6 წლამდე მთავარია „მე“ და „მინდა“. მხოლოდ 6 წლის შემდეგ იწყება ამ მიდგომის შეცვლა. მანამდე კი, ბავშვისთვის გაუგებარია „უნდა“, რადგან იგი ორიენტირებულია „მინდაზე“ და „უნდა“ მისთვის ძალდატანებაა. ბავშვი ამ ასაკში არც სოციალიზაციისთვისაა მზად. ვერ ხვდება, რომ უნდა დაემორჩილოს მასწავლებელს, უნდა მოამზადოს გაკვეთილი, კლასელებს ანგარიში გაუწიოს“** — აცხადებს ლევან ზარდალაშვილი და იმასაც გვიმხელს, რომ იმის მომხრეც კია, ბავშვი სკოლაში 7 წლის ასაკში შევიდეს. მისივე თქმით, პრობლემები, რომელსაც სკოლაში ბავშვის ადრე შეყვანა იწვევს, თავს დაახლოებით მე-5-მე-9 კლასებიდან იჩენს. პრობლემები კი, საგანგაშოც კია: **„სწავლაზე გულისაცრუება, შფოთვა, უძილობა, გარკვეული დეპრესიული ფონი... ბევრი ნეგატივი შეიძლება მივიღოთ იმის გამო, რომ ბავშვს დავურღვიეთ ბავშვობა, იძულებული გავხადეთ ესწავლა მაშინ, როცა უნდა ეთამაშა. ამ ფონზე, არ ვიცი, რა საჭიროა ძალდატანება. ან ის რატომ გვეჩქარება, სკოლა ადრე დაამთავროს? „ჯიპაში“ ლექციებს ვკითხულობ და პირველი კურსზე, ბავშვები, რომლებიც სკოლაში ადრე შევიდნენ და შესაბამისად, ადრე დაამთავრეს, საერთოდ არ არიან მზად იმისთვის, უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ. ისინი ლექციებზე ისე იქცევიან, როგორც ჩვენ ვიქცეოდით მე-10 კლასში გაკვეთილებზე. მხოლოდ მესამე კურსიდან გაქვს განცდა, რომ სტუდენტები არიან“.**

თითქმის იდენტურ აზრს ახმოვანებს ბავშვთა ფსიქოლოგი **მანანა მელიქიშვილი**. მისი აზრით, ზოგადად, სასურველი არ არის, 5 წლის ბავშვი წავიდეს სკოლაში. ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მოხდეს, როცა კონკრეტული ბავშვის სასკოლო მზაობას სპეციალისტები შეაფასებენ: **„სკოლისთვის მზაობა კი, საკმაოდ რთული ფენომენია. ბავშვი მზად უნდა იყოს როგორც ფიზიკურად, ანუ მისი ძვლოვანი სისტემა უნდა იყოს ისე ჩამოყალიბებული, რომ გაუძლოს დატვირთვას, რომელიც მას სკოლაში ელოდება, ასევე — ფსიქოლოგიურად. 6 წლამდე ასაკის ბავშვისთვის ფსიქიკური ფორმა არის მეხსიერება. შესაბამისად, მას ინფორმაცია (ანგარიში, წერა-კითხვა...) მეხსიერების და არა აზროვნების დონეზე აქვს ათვისებული. ბავშვი სკოლაში წასვლისას ასევე უნდა იყოს მზად პიროვნულად და სოციალურად. სოციალური მზაობა ნიშნავს, შეძლოს ურთიერთობის დამყარება კლასელებთან, პედაგოგთან, იცოდეს დათმობა... ბავშვი ამ ასაკში ბევრ რამეს თამაშით სწავლობს, სასკოლო პროცესი კი მისგან სულ სხვა რამეს მოითხოვს. მას არ შეუძლია დიდხანს ჯდომა მერხთან, არ სურს ინსტრუქციებს დაემორჩილოს, მისთვის უინტერესო საქმიანობა აწარმოოს... ეს ზეწოლას ახდენს მის ფსიქიკაზე, რაც იწვევს შფოთვის მომატებას. პარალელურად, მისთვის სტრესულია სკოლასთან ადაპტაცია. 5 კი არა, 6 წლის ბავშვებსაც კი, ზოგჯერ, მთელი წელი სჭირდებათ ამისთვის“.**

ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ 5 წლის ბავშვის სკოლაში მიყვანის შემთხვევაში, ზიანი მიადგება მის თვითშეფასების უნარს. არ აქვს მნიშვნელობა, უჭირს თუ არა მას თანაკლასელ 6 წლის მოსწავლესთან შედარებით სასწავლო პროგრამის დაძლევა. რომც დაძლიოს, თვითშეფასების მაჩვენებელი მაინც იკლებს, რადგან მას სკოლაში ბევრი უფროსი ჰყავს და ძალაუნებურადაა მოქცეული გარემოცვაში, სადაც მის ბედ-იღბალს სხვები განაგებენ. ეს უკვე აზიანებს თვითშეფასებას. ამიტომ, 6 წლამდე რაც მეტად იქნება გარემოში, სადაც არავინ არაფერს უშლის, მით უკეთესია. ამ ფონზე, მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად, პარლამენტმა მხარი დაუჭიროს ინიციატივას სასკოლო ასაკის დაწევასთან დაკავშირებით. მეტიც, გერმანიის მაგალითსაც იხსენებს, სადაც სკოლაში სწავლა 7 წლის ასაკიდან იწყება.

რამაზ საყვარელიძე: „მათ, ვინც ემხრობა 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანას, არგუმენტად მოჰყავთ, რომ ბავშვს შეუძლია აითვისოს პროგრამა. ბავშვს კიდევ მეტის ათვისების უნარი აქვს. ის არის არსება, რომელიც დაიბადა ისე, არაფერი იცოდა და თვითონ გაშიფრა სივრცე, საგნები, მნიშვნელობა ჩადო მათში, ენა გაშიფრა... ამ ინტელექტის პატრონს რამე დაუდგება წინ? რა თქმა უნდა, არა. 6 წლამდე ყალიბდება მისი პიროვნება, ანუ ემოციური, მოტივაციური სამყარო, მისი „მე“. ამ პროცესს კი, ხელს უშლის მისი რეგლამენტირება. ამიტომ ემხრობიან ფსიქოლოგები ხან ინდურ, ხან ჩინურ სიბრძნედ წოდებულ პოზიციას, რომ ბავშვი 6 წლამდე უნდა გყავდეს, როგორც მეფე, 11 წლამდე — როგორც მოსამსახურე და მერე, როგორც მეგობარი. 6 წლამდე მისი პიროვნება უნდა ჩამოყალიბდეს და ამ პერიოდში, რაც მეტად იქნება საკუთარ თავში დარწმუნებული, მით უკეთესია. მხოლოდ ამის შემდეგ ეხალისება მას შრომა, შემეცნება...

დასასრული მე-7 გვერდზე

ვერსიანიუსი

ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენებისთვის თაღლითური დაჯგუფება დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად საქართველოს ოთხი მოქალაქე: 1992 წელს დაბადებული ჯემალ ჭ, 1990 წელს დაბადებული გოგიტა ბ, 1991 წელს დაბადებული თამაზ ტ. და 1989 წელს დაბადებული გიორგი დ. ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა საქართველოში გერმანიის საელჩოში ვიზის მიღების მიზნით ყალბი ცნობები წარადგინეს, თითქოს ისინი არიან სხვადასხვა ტაძრის წინამძღვრები და აქვთ ყოველთვიური შემოსავალი შემოწირულობის სახით, რომელიც თვეში დაახლოებით 900 ლარიდან 1300 ლარამდე შეადგენს. სამართალდამცველებმა ყალბი ცნობები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ზუგდიდში მომხდარი ძარცვა გახსნილია

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1951 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ვალერ ბ. ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 16 მარტს ზუგდიდში ავტომანქანით გზა გადაუღობა „მერსედესის“ მარკის ავტომანქანას, რომელსაც სავალუტო ჯიხურის თანამშრომელი ნინო ბ. მართავდა. ვალერ ბ-მ ჩაამტვრია აღნიშნული ავტომანქანის გვერდითა საქარე მინა, ნინო ბ-ს დედას — გული მ-ს ხელიდან გასტაცა ხელჩანთა, რომელშიც 40 000 ლარი იყო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ვალერ ბ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში ზუგდიდში დააკავეს.

გამოძიება ძარცვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

სოლომონ პავლიაშვილი: „ქართული უმაღლესი სასწავლებლებით ამერიკელები დაინტერესდნენ!“

ნათია აბაშიძე

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი რამდენიმე დღის წინ, აშშ-დან დაბრუნდა, სადაც, ქართულ დელეგაციასთან ერთად, თურქულ-ამერიკული ალიანსის მიერ ვაშინგტონში გამართულ „თურქულ-ამერიკულ ფორუმსა და ბიზნესსამიტს“ (Turkic American Convention & Business Summit) დაესწრო. რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართველების ზემოხსენებულ ფორუმში მონაწილეობა? — „ვერსია“ სოლომონ პავლიაშვილს ესაუბრა.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდა

— თურქულ-ამერიკული ალიანსის ფორუმის მუშაობაში საქართველოდან, ჩემთან ერთად, მონაწილეობა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, ილიას ჩილოღლუმ, გენერალურმა მდივანმა, რესულ დიკმენმა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ადემ ონელმა, ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა რომან გოცირიძემ და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. ჯონი აფაქიძემ მიიღეს. ქართულ-თურქული დელეგაციის შემადგენლობაში, ასევე იყვნენ ბიზნესმენები: მეჰმეტ შურქიტი (სავაჭრო კომპანია „დაფნა“). ვიზიტის ინიციატორი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი იყო, რისთვისაც მის რექტორს, ბატონ ილიას ჩილოღლუს დიდ მადლობას ვუხდი.

— ყოველწლიური სამიტი მხოლოდ განათლების ბიზნესს ეხება?

— არა, სამიტზე ბიზნესის ყველა სფერო — განათლება, კულტურა, ეკონომიკაა წარმოდგენილი. სამიტის მუშაობაში პოლიტიკოსები და სხვადასხვა, მათ შორის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების თურქული სათვისტომოების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. გახსნას 25 კონგრესმენი და სენატორი დაესწრო.

სხვათა შორის, თბილისის სასწავლო და შავი ზღვის უნივერსიტეტებს გრძელვადიანი თანამშრომლობის მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული, რაც ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, სტუდენტური კონფერენციების მოწყობასა თუ აკადემიური პერსონალის გაცვლას გულისხმობს. საერთოდ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოს განათლების ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერია.

— ფორუმში ქართული დელეგაციის მონაწილეობის მიზანი რა იყო?

— როგორ უნდა ჩაერთოს ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა საერთაშორისო სივრცეში ანუ ამ შემთხვევაში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა თურქულ-ამერიკულ და სხვა სასწავლებლებთან ურთიერთობა როგორ დაამყაროს.

— ბატონო სოლომონ, ვაშინგტონში მხოლოდ ბიზნესფორუმს დაესწარით თუ სხვა შეხვედრებიც გამართეთ?

— შეხვედრებიც გვქონდა.

— ვისთან?

— საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები — მე, რომან გოცირიძე, ჯონი აფაქიძე და ილიას ჩილოღლუ აშშ-ს სენატსა და კონგრესში არაერთ ცნობილ პოლიტიკოსს, მათ შორის, სენატორ ჯო დონელის, კონგრესმენებს — ჯერი მაკნერნის კალიფორნიიდან, ტონი გარდენიას, ენ კირკპატრიკს არიზონადან და სხვებს შეხვდით. ქართული დელეგაცია, ასევე მიწვეული იყო თეთრი სახლის საკონფერენციო ცენტრში, რონალდ რეიგანის სახლსა და საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში. ასევე, ვიმყოფებოდით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც შევხვდით კავკასიის საკითხებისა და რეგიონული კონფლიქტების განყოფილების დირექტორს, ჯონ მარკ პომერსჰაიმს. არიზონელმა კონგრესმენმა ქალბატონმა, რომელიც საქართველოში ნამყოფია, გვითხრა, ნებისმიერი თანამშრომლობისთვის მზად ვართო. საერთოდ, ამერიკელებისგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით... სამიტის დამთავრების შემდეგ, შეხვედრა გაიმართა საქართველოს საელჩოში ვაშინგტონში, სადაც შევხვდით საქართველოს ელჩის მოადგილე გიორგი ხელაშვილს და პირველ მდივანს სოფიო კუპრაძეს. სასიხარულოა, რომ ჩვენი საელჩო განთავსებულია ახალ ოფისში, რომლის შეძენაც ბოლო დროს განხორციელდა. ელჩის მოადგილე გიორგი ხელაშვილი ამერიკულ უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარებაში მხარდაჭერას დაგვპირდა.

— კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მიხვედით?

— ამ ეტაპზე იმაზეა საუბარი, ჩვენმა სტუდენტებმა აშშ-ში უფასო (გზის ხარჯი არ იგულისხმება) ერთი სემესტრი გაიარონ. ამასთან, North American Uiversity-სთან, რომლის რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თურქული წარმოშობის ამერიკელია, შესაძლოა, გრძელვადიან თანამშრომლობაზე შევთანხმდეთ — თუკი ბიზნესის ადმინისტრირებასა და ტურიზმში ინგლისურენოვან პროგრამებს გავაკეთებთ, ლიტერატურით დაგვეხმარება. სხვათა შორის, ასეთი სახის თანამშრომლობა, პოლონეთის აგრარულ და გერმანიის ეიხშტატის უნივერსიტეტებთანაც გვაქვს.

— ბატონო სოლომონ, ქართული განათლების სისტემა ამერიკულს და, საერთოდ, მსოფლიო მოთხოვნებს აკმაყოფილებს?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტებს შორის 2 600-ე, ხოლო საქართველოს უნივერსიტეტებს შორის პირველ ადგილზეა. ამავე შეფასებებით ისე, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში მე-17 ადგილზეა... რაც არცთუ ცუდი მაჩვენებელია 70 უნივერსიტეტსა და აკადემიურ კოლეჯს შორის. მართალია, ბოლონიის პროცესის მონაწილენი ვართ, მაგრამ ჩვენი და საერთოდ, პოსტსაჭოთა ქვეყნების განათლების სისტემა მსოფლიო უმაღლესი განათლების დონისგან საკმაოდ შორსაა, რაზეც გარკვეულ გავლენას ეკონომიკური გარემოც ახდენს, სოციალური პრობლემებიცა და პოლიტიკური სიტუაციაც.

— თქვენი აზრით, საქართველოს განათლების ბიზნესის დახვეწის პოტენციალი აქვს?

— პოტენცია, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საქართველოში, უმაღლესი განათლების სისტემაში, ინვესტიციის ჩადებისგან თავს იკავებენ. არადა, კერძო სასწავლებლებს ფინანსური მხარდაჭერა ძალიან სჭირდებათ — სახელმწიფომ გადასახადებზე შეიძლება, გარკვეული შეღავათებიც დააწესოს... ჩვენი განათლების სისტემა მსოფლიო სტანდარტებს რომ მიუახლოვდეს, საამისოდ აკადემიური პერსონალიც მზად უნდა იყოს. ამ კუთხით დღევანდელი დოქტურანტების იმედი მაქვს, რომლებიც უცხო ენასა თუ თანამედროვე ტექნოლოგიებს მშვენივრად ფლობენ და ხვალ-ზეგ ლექციების კითხვას დაიწყებენ. რა დასამალია — ზოგიერთი, პროფესორი, 40 წელია, მუშაობს, მაგრამ საკუთარი თავის ახლებურად დანახვა არ უნდა, თუმცა სამსახურიდან მაინც ვერ გაუშვებ...

— ბატონო სოლომონ, თუკი ჩვენი განათლების სისტემა მსოფლიო სტანდარტებს მაინცდამაინც ვერ აკმაყოფილებს, აბა, პაკისტანსა თუ ინდოეთიდან ახალგაზრდები სასწავლებლად აქ რატომ ჩამოდიან?

— იმიტომ, რომ ჯერ ერთი, სწავლის გადასახადი დაბალია. მეორეც, ყველაფრის მიუხედავად, ქართული დიპლომი მთელ მსოფლიოში აღიარებულია, თან საქართველოში საცხოვრებელი პირობების შექმნა ძვირი არ უჯდებათ.

— უცხოელები თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში რატომ არ სწავლობენ?

— კარგი კითხვაა: განათლების სამინისტროს უკვე მივმართეთ თხოვნით, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელების ნება დაგვრთოს. საერთოდ, ჩვენი უნივერსიტეტი პროგრამების მხრივ გაჯერებულია — 16 სპეციალობა გვაქვს. სხვათა შორის, უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლების პროგრამასაც ვაკეთებთ ანუ სტუდენტებს ერთი წელი ქართულში მოვამზადებთ და შემდეგ, ვთქვათ, აგროინჟინერიასა და სოფლის მეურნეობის სხვა პროგრამებს, რომლებიც აფრიკის ქვეყნებისთვის ძალიან საინტერესოა, ქართულად ვასწავლით. ისე, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ერთადერთი კერძო სასწავლებელია, რომელსაც ამდენი აგრარული პროგრამა აქვს — ყველა მათგანი, კარგად გამიგეთ და, პატრიოტული სულისკვეთებითაა გაკეთებული. ძლიერი აკადემიური პერსონალიც გვყავს, მაგრამ მოდური არაა და პირველ კურსზე ექვსი სტუდენტია, მეორეზე — ორი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წელს მიღება აგროინჟინერიის სპეციალობაზეც გვექნება. სახელმწიფო ამ პროგრამებს მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში აფინანსებს, რაც გარკვეულწილად, მონოპოლიურ გარემოს ქმნის: გრანტს სტუდენტი იღებს და სახელმწიფოსთვის რა მნიშვნელობა აქვს, სტუდენტი სახელმწიფო სასწავლებელში ისწავლის თუ კერძოში?

მოკლედ, საქართველოში იმის მოტივაცია, რომ განათლების ბიზნესში ინვესტიციები ჩაიდოს, ძალიან ნაკლებია. ეს ბიზნესი სპეციფიკურიც გახდა — მუშაობას ის აგრძელებს, ვინც დამკვიდრებულია და ახალი არ შემოდის.

ისიც პრობლემაა, რომ საქართველოში შრომის ბაზარი არაა შესწავლილი, რასაც კერძო სასწავლებლები ვერ გააკეთებენ. შრომის ბაზარი სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს და ის ინფორმაცია მაინც გვექნება, ყოველწლიურად, მაგალითად, რამდენი ეკონომისტი, იურისტი თუ აგროინჟინერი უნდა მოვამზადოთ. ეს რომ გვეცოდინება, სასწავლებლის განვითარების სხვანაირ სტრატეგიას შევქმნით...

„5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა დანაშაულია!“

მე-6 გვერდიდან

მანამდე ყოფნა სკოლაში, სადაც რეალურად შრომის რეჟიმია, სადაც მოქმედება და სიტყვა-პასუხი რეგლამენტირებულია, პიროვნების ჩამოყალიბებაზე დატოვებს დიდ კვალს — მას შეექმნება განცდა, რომ რაღაცის უფლებები არ აქვს. ეს გახდება უკვე პიროვნების ნიშანი. პიროვნების შინაარსში ჩაიდება ეს ფორმულა და მომავალში, მისი პიროვნების კონცეფცია და მსოფლმხედველობა გახდება ის, რომ სხვებთან შედარებით უუფლებოა. ეს კი, ნევროზების წყაროა“.

„ვერსიის“ რესპონდენტები აცხადებენ, რომ რიგ ქვეყნებში, 5 წლის ბავშვებს სკოლაში განსაკუთრებული ინფრასტრუქტურა და სწავლების მეთოდი ხვდებათ. იქ ფაქტობრივად ბაღის სიტუაციაა შექმნილი და რეგლამენტაცია მინიმალურია. „სწავლებაც“ თამაშ-თამაშში მიმდინარეობს. ამ მაგალითის ქართულ რეალობაში გადმოტანა, ფუნდამენტურ ცვლილებებს მოითხოვს — სკოლებში შესაბამისი საკლასო ოთახები უნდა მოეწყოს, შესაბამისი ინვენტარით, მასწავლებლები სათანადოდ უნდა გადამზადდნენ, სათანადო პროგრამა შემუშავდეს და სახელმძღვანელოებიც დაიბეჭდოს. ეს ყველაფერი დიდ ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. სხვათაშორის, სუბელიანის მიერ ინიცირებულ კანონპროექტში, ცვლილების აუცილებლობა იმითაა ახსნილი, რომ საქართველოში არ არის სათანადო დონეზე წინასასკოლო სწავლება. პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ბაღები აღარ მიიღებენ ბავშვებს, რომლებსაც 5 წელი შეუსრულდათ. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **გიორგი ვოლსკი** მშობლებს ამშვიდებს, რომ ბავშვები ქუჩაში არ დარჩებიან, რადგან განათლების სამინისტრომ, არაერთ ქართულ თუ უცხოურ კვლევაზე დაყრდნობით, უკვე მოამზადა წინასასკოლო სწავლების გეგმა, რომელსაც პარლამენტი, ალბათ მალე განიხილავს: **„ვფიქრობ, მოქმედი კანონი, რომლის მიხედვითაც ბავშვი სკოლაში 6 წლის ასაკში შედის, გარკვეული შეღავათია იმ კვლევების საფუძველზე, რომელიც ცალკეულმა ორგანიზაციებმა და ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდმა დადო და რომელთა მიხედვით, ბავშვის ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური მდგომარეობის, განვითარების გათვალისწინებით, პირველ კლასელთა ასაკი უნდა იყოს 6 წელი და 8, 9 თვე. სწორედ ამ კვლევების საფუძველზე, განათლების სამინისტრომ დაგეგმა მწყობრი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემის ორგანიზება. საუბარია იმაზე, რომ თბილისში, 50-მდე სკოლაში, 5 წელს გადაცილებული ბავშვებისთვის შეიქმნება საკლასო ოთახები შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ავეჯით, რბილი იატაკით... მასწავლებლები გადამზადდებიან და შემუშავდება შესაბამისი სასწავლო პროგრამა, სადაც შეტანილი იქნება სასკოლო პროგრამის ელემენტები. სოფლებში, სადაც ბაღები არ არის სრულყოფილად დატვირთული, ასეთი საკლასო ოთახები საბავშვო ბაღებში მოეწყობა. გარდა ამისა, სოფლად, გადამზადებული პედაგოგები, დამატებით ხელფასსაც მიიღებენ. გაწერილია საბიუჯეტო ხარჯებიც. ასე რომ, კობა სუბელიანის მიერ შემოტანილი კანონპროექტით, ნაციონალური მოძრაობა, ფაქტობრივად ცდილობს, ერთი მხრივ იმ მშობლების გული მოიგოს, რომლებიც ფიქრობენ, რომ 5 წლის ასაკში შეუძლიათ, სკოლაში შეიყვანონ შვილები, რაც ფაქრობრივად ბავშვის უფლებას არღვევს და მეორე მხრივ — დისონანსი შეიტანოს განათლების სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებულ გეგმაში. მშობლებმა, უნდა იცოდნენ, რომ ბევრი უარყოფითი მაგალითი არსებობს იმისა, რომ 5 წლის პირველკლასელები განიცდიან სერიოზულ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დისკომფორტს. ეს კი, ნეგატიური შედეგებითაც შეიძლება დამთავრდეს. კარგად აღნიშნა რესპუბლიკელმა ფრიდონ საყვარელიძემ — მშობლების ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ, რაც წინასასკოლო სისტემის ორგანიზებაში აუცილებლად მოხდება, ოღონდ არ უნდა იყოს იგნორირებული თავად ბავშვის მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. ასე რომ, ხელისუფლების თვითმიზანი არ არის, აწყენინოს მშობლებს და არ მიიღოს მათი შვილები სკოლაში. ასეთი სურათის დახატვა სურთ ამ კანონპროექტის შემომტანებს, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის“.**

ასეთ ფონზე, ცოტა გაუგებარია, რატომ მიიღო „სუბელიანის კანონპროექტმა“ პირველი მოსმენისას ხმათა უმრავლესობა. გიორგი ვოლსკი ამას კომუნიკაციის ნაკლებობით ხსნის. მისი თქმით, ბოლო პერიოდში, დეპუტატებმა დეტალურად განიხილეს ამ საკითხის ყველა დეტალი, უარყოფითი თუ დადებითი მხარე, რაც მისი აზრით, იმის საფუძველი გახდება, რომ საბოლოოდ, უმრავლესობა, სწორედ იმ პოზიციაზე იქნება, რომელიც თავად აქვს. ასე რომ, თუ ვოლსკის პროგნოზი გამართლდა, პარლამენტი „სუბელიანის კანონპროექტს“ მხარს არ დაუჭერს.

გაზეთ „ვერსიაში“ (№28, 13-15 მარტი) გამოქვეყნდა ეკა სეხნიაშვილის პუბლიკაცია სათაურით „გამგებელები შსს-ს ანტიკორუფციულში დაიბარეს“, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რედაქციას დაუკავშირდნენ, როგორც გამგეობის ყოფილი თანამშრომლები, ასევე ჩუღურეთის რაიონის გამგებელი, ბატონი ზურაბ ჩიკვილაძე. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე „ვერსია“ აგრძელებს თემას — დღევანდელ ნომერში ვრცლად გთავაზობთ, როგორც რესპონდენტების, ისე გამგებლის პოზიციას და აცხადებს, რომ გამოქვეყნებულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით დისკუსია აღარ გაგრძელდება. თუ რომელიმე მხარეს აქვს პრეტენზიები გაზეთისა თუ ჟურნალისტის მიმართ, იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

მაია ფურცელაძე, გაზეთ „ვერსიის“ გამომცემელი

კომპრომატები ჩუღურეთის გამგებლის წინააღმდეგ!!!

რაში ადანაშაულებენ გამგებელს და რატომ უჩივიან მას სასამართლოში?!

ეკა სეხნიაშვილი
599-53-56-06

ნეპოტიზმი ხელისუფლებას ავთვისებიანი სიმსივნესავით მოედო, თუმცა, როგორც მთავრობის მაღალ ეშელონებში ირწმუნებიან, ეს ფაქტი მათთვისაც მიუღებელია და მის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებენ. მეტიც, თავად ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა გახსნილად ბრძოლა ნეპოტიზმის წინააღმდეგ და ყველას მოუწოდა, ამ პროცესში ჩაერთოს. როგორც კომპეტენტური წყაროები ირწმუნებიან, ახლახან მან თავის ნდობით აღჭურვილ პირებს სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული ახლობელ-მეგობრების დასაქმების ფაქტების მოკრება-მოძიება და იმ ჩინოვნიკთა წინააღმდეგ რეაგირება დაავალა, ვინც ასეთ მიდგომებშია შემჩნეული. ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი გამგეობებითაც დაინტერესდა.

„ვერსიის” გასულ ნომერში ჩუღურეთის გამგეობაში არსებულ ნეპოტიზმსა და განუკითხაობაზე ვწერდით. მაშინ რესპონდენტების ვინაობის გამხელისგან თავი შევიკავეთ, თუმცა ჩვენი წყაროების ნაწილმა საჭიროდ ჩათვალა, მეტად აღიმაღლოს ხმა და დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდონ. ის, რომ ჩუღურეთის გამგეობაში სამშენებლო მასალების შესყიდვებით ანტიკორუფციულ სააგენტოში დაინტერესდნენ, თავად გამგებელმა ყველაზე უკეთ უწყის. გამგეობის ყოფილი მაღალჩინოსნების (გამგებლის მოადგილე გ, რობაქიძე) დაბარების ამსახველი კადრები სოციალურ ქსელშიც ვრცელდებოდა და საქმე არც დასრულებულა, კომპეტენტური წყაროები ამბობენ, რომ ანტიკორუფციული მხოლოდ სამშენებლო მასალების ერთობ მიმზიდველი ფასებით არ დაინტერესებულა, სხვა საკითხების შესწავლაც, შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს და, უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც გამოიკვეთოს. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული მასალების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში ორმა კომპანიამ, — „ჯეოპასტმა“ და „ჯი-არ-ჯი“-მ გაიმარჯვა. ტენდერის საერთო ღირებულება 131 ათასი ლარი იყო. მოხდა თუ არა რეალურ საბაზრო ფასებში მოსახლეობისთვის დასარიგებელი სამშენებლო მასალების შესყიდვა ბიუჯეტიდან, რატომ ეს კომპანიები, რა კავშირი აქვთ მათ, იცნობენ თუ არა გამგებელს ან მის მოადგილეს, აქვთ თუ არა სოლიდური გადარიცხვები 2012 წლის არჩევნებისას, ნაციონალურ მოძრაობაში?! — ამ კითხვებზე პასუხი მაკონტროლებელი უწყებების პრეროგატივაა. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, თუმცა კითხვების დასმის კონსტიტუციური უფლება ნამდვილად გვაქვს ისევე როგორც, გვაქვს უფლება, მივიღოთ ინფორმაცია იმ თანამშრომლების შესახებ, რომელთა უმრავლესობაც გამგებლისა და საკრებულოს ჩუღურეთის მაჟორიტარის ახლობლებად სახელდებიან: გამგებლის მოადგილეა ლავრენტი გოგსაძე, რომელსაც უმაღლესი განათლების გრაფაში ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი აქვს მითითებული 1992-1997 წლებში, ეჭვქვეშ არც მის უმაღლეს განათლებას ვაყენებთ და არც კომპეტენციას, თუმცა ამოვიღეთ ოფიციალური ინფორმაცია, გადავხედეთ და აღმოჩნდა, რომ თავად ინსტიტუტის რეგისტრაცია 1995 წლითაა დათარიღებული. იგი გამგებლის მეგობრად და მაჟორიტარის ნათესავად დასახელებული პერსონაა, რომელმაც, ყოფილი თანამშრომლების თქმით, ატესტაციაზე საკმარისი ქულები ვერ დააგროვა, მაგრამ გამგებლის მოადგილის პოსტს იკავებს. ასევე გამგებლის სამეგობროში ასახელებენ ლევან მახარაძეს, რომელიც მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელია; ასევე მთავარი სპეციალისტია დავით მირიანაშვილი, რომელიც მთაწმინდის გამგებლის ცოლისძმად სახელდება, ხოლო მთაწმინდაზე „ნაცებიდან” პორტირებული რიმა ბერაძის პროტეჟეს — მედეა აზარაშვილის შვილია დანიშნული. როგორც ჩვენი რესპონდენტები ირწმუნებიან, არსებობს უამრავი ფაქტი, როგორ იქცა თბილისის ერთი რაიონის გამგეობა გამგებელისა და საკრებულოში ამავე რაიონის მაჟორიტარი ქალბატონის ახლობლების დასაქმების ბიუროდ.

რაც შეეხება „ვერსიის“ წინა პუბლიკაციაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას მიხეილ ხუბუტიასა და ზურაბ ჩიკვილაძის ნაცნობობის შესახებ, მასზე პრივატულ საუბრებში ლამის ნახევარი გამგეობა საუბრობს, თუმცა ამას თავად გამგებელი ზურაბ ჩიკვილაძე კატეგორიულად უარყოფს. პრინციპში, ეს არც დანაშაულია და არც მის პრესტიჟსა და ღირსებას ლახავს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია ჩიკვილაძის ბიოგრაფიის იმ პერიოდს უკავშირდება, როცა დსთ-ში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო და რა გასაკვირია, ვივარაუდოთ, რომ ხუბუტიას იცნობდეს კიდეც. გამგებელი ასევე უარყოფს სუს-ის ყოფილ უფროსთან, ჩიკვილაძესთან ნათესაობას და აცხადებს, რომ იგი მხოლოდ მოგვარეა მისი და ამას გამგებლად მის დანიშვნასთან არანაირი კავშირი არა აქვს. თუმცა ეს ორი თემა ზღვაში წვეთია იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელიც უხვად დაგროვდა და რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ.

მოქალაქე ზიზი სესიტაშვილი ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წამყვანი სპეციალისტი იყო, რომელმაც ატესტაცია წარმატებით გაიარა და საჭირო ქულებიც დააგროვა, თუმცა მალევე ჯერ დააქვეითეს და შემდეგ სამსახურიდან გაუშვეს. ახლახან მისმა 14 წლის ქალიშვილმა ქალაქის მერს, დავით ნარმანიას წერილი პირადად მისწერა, სადაც არსებული განუკითხაობის, ნეპოტიზმისა და მის ოჯახზე ზეწოლის შესახებ წერს. სესიტაშვილი ჩუღურეთის მოქმედი გამგებლის გადაწყვეტილებას სასამართლოში ასაჩივრებს და სამსახურში აღდგენას ითხოვს.

ზიზი სესიტაშვილი: „მე ჩუღურეთის გამგეობის ატესტაციაგავლილი აწუკვე ყოფილი თანამშრომელი ვარ. ყველა თანამშრომელზე მაღალი — 54 ქულა ავიღე, მაგრამ სამსახურიდან მაინც გამათავისუფლეს და მომივიდა პასუხი, რომ ვერ ვაკმაყოფილებ დაკავებული თანამდებობის კომპეტენციას. ჩემი გათავისუფლების მოტივაცია გახლდათ ერთადერთი — გამგებელს გამოთავისუფლებულ ადგილებზე საკუთარი ნათესავებისა და მეგობრების მოყვანა-დასაქმება სურდა. ასეც მოხდა და დღეს, მთელი გამგეობა მისი ახლობლებითაა დაკომპლექტებული. დაწყებული მისი მოადგილე ლადო გოქსაძიდან, რომელთანაც მეჯვარეობა აკავშირებს, დამთავრებული რიგითი თანამშრომლებით. ჯერ დამაქვეითეს, აპარატის წამყვანი სპეციალისტი ვიყავი და ჩემს ადგილას მოიყვანეს საბურთალოს გამგებლის პირველი ცოლი. გამგებლის მოყვანილი ხალხიდან თითქმის ყველა ჩაიჭრა, ორივე მოადგილე ჩაიჭრა, თანაშემწე ჩაიჭრა, უბნის სამსახურის უფროსები ჩაიჭრნენ, მაგრამ არავინ გაუშვიათ სამსახურიდან, ყველა ადგილზეა. ეს მხოლოდ მათ შეეხო, ვინც გამგებლის ნათესავები ან რიმა ბერაძის ახლობლები არ იყვნენ. გამგებლის მოადგილე, ივანიშვილი, სახელდება სწორედ საკრებულოში ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატის, რიმა ბერაძის ნათესავად. მესამე მოადგილე ბაქანიძე პარტიული აქტივიდანაა. გამგებლის თანაშემწეც მეგობრის ცოლია, ხოლო ზემო ჩუღურეთის უბნის უფროსზე სხვა ინფორმაციები გვაქვს, ვაზუსტებთ და მოგაწვდით, საუბარია მედეა აზარაშვილზე, რომელიც რიმა ბერაძის მარჯვენა ხელი და პროტეჟეა. იგივე ბადრი გუმბერიძეზე იყო საუბრები და მსმენია, რომ ნასამართლევი იყო. ბუნებრივია, დაბეჯითებით ამას არ ვამტკიცებ და, შესაძლოა, ეს არასწორი ხმებია („ვერსია“ **დაუკავშირდა ბატონ ბადრი გუმბარიძეს და მან კატეგორიულად უარყო ხმები მისი ნასამართლეობის შესახებ და ჩვენს ინტერესს, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს, მცდარი მოსაზრებების გავრცელება და ამიტომაც ვაფიქსირებთ ამას,** — **ე.**ს.). ნაძალადევის გამგებლის, ზაზა გაბუნიას ცოლისძმა გიორგი შავლაძე დანიშნეს მთავარ სპეციალისტად. ასევე თამარ ჩალიჩავა, წარმოშობით სოფელ კოკიდან, დასაქმდა სოციალურ სამსახურში. ეკა ისახანაშვილი, რომელიც იყო სოციალური განყოფილების უფროსი, ჯერ დააქვეითეს, შემდეგ გაიარა კონკურსი, ჩააბარა, მაგრამ გასაუბრებიდან გამოუშვეს... მის ადგილას დანიშნეს ვინმე ოლიკო, რომელიც იყო რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ჩუღურეთის რაიონში... როგორც ვიცი, სანამ რიმა ბერიძემ განცხადება არ დააწერინა და არ დაატოვებინა რესპუბლიკური პარტია, არ დაასაქმეს. უცხო და უპროტეჟო მანდ არავინაა. ყველა ან ჩიკვილაძის ან რიმა ბერაძის ნათესავი, კლასელი და მეგობარია ან „ოცნებიდან” დაკრიშული პარტაქტივისტი. პროფესიონალიზმის ნიშნით მანდ არავინაა დანიშნული“.

თამაზ ხიზანიშვილი: „ქვედა ჩუღურეთის უბნის სამსახურის უფროსის მოადგილე ვიყავი, ჩემი გათავისუფლების მოტივაციად ახალმოსულმა გამგებელმა, 6 წლის წინ, ჩემი დანიშვნის არაკანონიერება დაასახელა, თუმცა ცოტა ხნის წინ, სასამართლომ გამამართლა და უკანონოდ სცნო ჩემი გათავისუფლების ფაქტი და სამსახურში აღმადგინა. ამის მიუხედავად, მოქმედმა გამგებელმა სამსახურში გამოცხადებიდან მეორე დღესვე სრული იგნორირება გაუკეთა სასამართლოს გადაწყვეტილებას და გამოგონილი, თითიდან გამოწოვილი და დაუსაბუთებელი ბრალდებით, მისი აპარატის უფროსის ახსნა-განმარტებითი ბარათის საფუძველზე, კვლავ გამათავისუფლა. მიზეზად ამჯერად ის ფაქტი დამისახელეს, რომ ერთი წლის წინ, ზაფხულში, გამგეობის კუთვნილი ავტომანქანით სარგებლობისას, გადავაჭარბე ბენზინის ლიმიტს. ეს სრული აბსურდია და ვერ დადასტურდება იმ მარტივი მიზეზით, რომ სარგებლობაში არ მქონია სამსახურებრივი ავტომანქანა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემი გათავისუფლება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით და დანაშაულებრივად, წინა პერიოდით, რასაც გავასაჩივრებთ სასამართლოში. 2003 წლიდან ნაცმოძრაობის წევრი ვიყავი, მაგრამ აქ მხოლოდ 2009 წელს დავინიშნე. დღეს გამგეობის თითქმის არც ერთი თანამშრომელი აღარ არის პროფესიული ნიშნით შერჩეული, ძირითადად, ეს გახლავთ ატესტაციაგაუვლელი ნათესავები, მეჯვარეები, ცოლის დაქალები და. ა.შ. რამდენადაც ამ კადრებს საერთოდ არ აქვთ მართვის არანაირი გამოცდილება, ჩუღურეთის რაიონი მკვდარია, ფაქტობრივად, არაფერი კეთდება. ჩვენ მუშაობის 24-საათიანი რეჟიმი გვქონდა, ახლა კი კაბინეტის კარს რომ გამოიხურავენ, ჰგონიათ, ამით სრულდება მუშაობა. გადით რაიონში, ხალხს ჰკითხეთ, რა კეთდება, გადასულები არიან ახლობლების დასაქმებაზე, პრემიების გამოწერაზე და ა.შ. საქმესა და ხალხზე არავინ ფიქრობს”.

მართალია, ბატონი გამგებელი აცხადებს, რომ მას თურმე პოლიტიკური შურისძიებით შეპყრობილი ყოფილი თანამშრომლები ებრძვიან, მაგრამ ეს თავისმართლებისა და ჩემი, როგორც ჟურნალისტის დაუმსახურებელი კრიტიკის არგუმენტად ვერ გამოადგება, რადგან ანალოგიურად ფიქრობენ თითქმის ნახევარი სახელისუფლებო პარტიის, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, რომლებიც უამრავ ფაქტსა თუ გადაცდომაზე მესაუბრებიან და დოკუმენტებს მაწვდიან. არჩილ სისაური „ქართული ოცნების“ პარტიული წარმომადგენელი, დაარსების დღიდან მისი ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი და პარტიული სიის წევრიცაა, თუმცა ჩვენთან საუბრისას იგი არ მალავს, რომ ჩუღურეთის გამგეობაში დღეს ნეპოტიზმისა და დარღვევების ბუმია და გამგეობაში სიტუაციას ყოფილი ნაციონალი, აწუკვე „ქართულ ოცნებაში“ დაპორტირებული, საკრებულოს მაჟორიტარი რიმა ბერაძე და მისი კადრები მართავენ.

არჩილ სისაური: „მე განათლების სისტემის ყოფილი მუშაკი ვარ. ჩვენ მიხეილ სააკაშვილის მმართველობამ უდიდესი პროფესიული და მორალური ზიანი მოგვიტანა, მეთოდცენტრები დახურეს და გააპარტახეს, ამიტომაც „ქართული ოცნების“ ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის სათავეებთან ვიდექი და თვითმმართველობის არჩევნებისას პარტიული სიის წევრიც ვიყავი, მაგრამ რაიონში ნაციონალებიდან პორტირებულმა შემადგენლობამ ხელში ჩაიგდო პარტიაც და გამგეობის მართვის სადავეებიც. მინდა, დარწმუნებით გითხრათ, რომ ძალიან ბევრმა თანამშრომელმა გადალახა ატესტაცია, მიიღო საკმარისი ქულები და გამგებელმა ისინი არ დაასაქმა. ესენი გახლავთ: სოფო პაპაშვილი (53 ქულა), ალექსიშვილი სანდრო (53 ქულა), ლაშა სამუშია (54 ქულა), ზიზი სესიტაშვილი, ეკა ისახანაშვილი და ვახტანგ ჭანტურია. ესენი უმუშევრები დარჩნენ. სამაგიეროდ მოხდა რიმა ბერაძის ატესტაციაგაუვლელი კადრებით გამგეობისა და მუნიციპალიტეტების საკვანძო პოსტების გაძეძგვა. უამრავი გვარი და სახელია, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვუთხარი ქალბატონ რიმას, რომ იმაზე მეტი ქულები მივიღე ატესტაციის დროს, ვიდრე თქვენმა დანიშნულებმა-თქო.

„ქართულ ოცნებაში“ ყველამ ვიცით, რომ ნანა აბდუშელიშვილი, რომელიც თავისთან წაიყვანა, მისი ბავშვის ნათლიაა. ანალოგიურად, მედეა აზარაშვილიც რიმა ბერაძის ახლობელია ჯერ კიდევ ნაცმოძრაობიდან და მისი ატესტაციის შედეგებიც მიუთითებს ამაზე. აზარაშვილის შვილის დანიშვნა-პორტირება მოხდა მთაწმინდაზე და იქიდან სხვა კადრი გაუცვალეს... მოკლედ, ჩუღურეთის გამგეობა გადააქციეს უსამართლობის, ახლობლების დასაქმების ბუდედ. „ქართულ ოცნებაში“ ამას დროულად უნდა მიექცეს ყურადღება და სათანადო რეაგირება მოხდეს ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

იმ პერსონებს კი არ ვეხები, უბრალოდ, გული მტკივა, რომ ამხელა რესურსი ჩავდე პარტიულ მუშაობაში, რაიონის განვითარებისთვის საჭირო საქმეში და ჩემზე ბევრად არაკვალიფიციურ ადამიანებს უპრობლემოდ ნიშნავენ, თან დაბალი ქულებით. ეს უსამართლობაა. მართალია, მე გამსვლელი ქულები არ დამიგროვებია, მაგრამ ჩემზე დაბალქულიანი პერსონები რატომ დაინიშნენ? 18-19 ქულიანებს თანამდებობებზე რომ ნიშნავენ, ეს რომელ კანონში ჯდება? ამისთვის ვიბრძოდით?“

რაკი ამგვარი თავდასხმის ობიექტი გავხდი, მაშასადამე სწორ გზას ვადგავართ მეც და ჩემი მეგობრებიც!

(ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“), საკუთარი ბოღმისა და ამბიციის დასაკმაყოფილებლად ააგორეს თბილისის მერიისა და მთელი ჩვენი გუნდის წინააღმდეგ.

თუმცა, მე ვამაყობ, რომ ნამდვილად ვარ ამ გუნდის წევრი და, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ აღმოვჩნდი ნაციონალური მოძრაობის სამიზნე.

საოცარია, რა უტიფრად მოითხოვენ „ელვის სისწრაფით“ გადავჭრათ ყველა ის პრობლემა, რაც თბილისში, მათ შორის ჩუღურეთის ურთულეს რაიონში, წლების განმავლობაში გროვდებოდა. არადა, ჩვენ დაგვხვდა სრული განუკითხაობა, 7 თვეში გახარჯული მთელი წლის ბიუჯეტი, ფინანსური ანარქია და ქაოსი რაიონული ადმინისტრაციის ფუნქციონირების ყველა სფეროში!

სწორედ ამ საქმეებს სწავლობენ სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოები. თუმცა, ქალბატონი ეკა სეხნიაშვილი ამაზე, რატომღაც, არაფერს წერს და მეტისმეტად ხშირად იყენებს ჟურნალისტურ პრივილეგიას, არ დაასახელოს წყარო.

კარგად ვხვდები, საიდან მომდინარეობს ასეთი არაობიექტურობა, ტენდენციურობა და ჩასაფრებული პოზიცია. სატელეფონო საუბრისას დასმული კითხვის პასუხად, ჟურნალისტს მეგობრულად განვუმარტე რომ არ უღირდა ქარიყლაპია ექსჩინოსნების აყოლა, რადგან კარგად ვიცი - მათ სწორედაც ძალიან „ეწვით“ ის, რომ სამართალდამცავი ორგანოები დაწვრილებით სწავლობენ ყველა საქმეს და უახლოეს მომავალში ბევრი წარდგება კიდეც მართლმსაჯულების წინაშე.

შემდეგ ავტორი სრულიად უაპელაციოდ და, ცოტა არ იყოს, კომიკური თავდაჯერებით აცხადებს ჩემს „მფარველად“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილ უფროსს, გვარად ჩიკვილაძეს.

გულწრფელად ვიტყვი: ისევე, როგორც ყველა ქართველს, მეც მიხარია, რომ ჩემი მოგვარე წარმატებული და ღირსეული ადამიანია, მაგრამ სამწუხაროდ, მას პირადად არ ვიცნობ, არც ერთხელ არ შევხვედრივარ და არც ოდესმე გვისაუბრია.

მხოლოდ გვარიდან გამომდინარე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება კი მეტისმეტი პრიმიტივიზმია, რაც ნამდვილად არ ეკადრება ქართულ ჟურნალისტიკას!

მაგრამ განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, რომ ავტორი ცდილობს დამაკავშიროს ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ ხუბუტიასთან. არადა, ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, გაგიწბილებთ სურვილებს ქალბატონო ეკა, და ვიტყვი, რომ ჩემთვის თვისობრივად მიუღებელი სამი პერსონაა: სააკაშვილი, ოქრუაშვილი და ხსენებული ხუბუტია!

რას ნიშნავს „ხუბუტიასთან აკავშირებენ?“. ვინ მაკავშირებს და რაში გამოიხატება ეს „კავშირი“? ასე ყველას შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, მათ შორის სტატიის ავტორის „კავშირთა“ შესახებ. მით უმეტეს, რომ ქალბატონი სეხნიაშვილის სტატია, მისი აშკარა არაობიექტურობითა და მიუჩქმალავი ანგაჟირებულობით, ნამდვილად ტოვებს აშკარა ტენდენციურობის შთაბეჭდილებას.

რაც შეეხება დიპლომატიურ მოღვაწეობას – ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საამაყო და ღირსეული ფურცელია. ამდენად, არავის მივცემ უფლებას, მას ასე როყიოდ შეეხოს!

იმედია, ჟურნალისტი გაიაზრებს მის მიერ დაშვებულ პროფესიულ და ადამიანურ გადაცდომას.

ჩემი მხრივ, ყოველთვის მზად ვარ, ქართულ მედიასთან ვითანამშრომლო არა მხოლოდ იმ პროექტებისა და უამრავი გეგმის განხორციელებისას, რაც ჩვენს რაიონში უკვე წამოვიწყეთ, არამედ გულწრფელად მადლობელი ვიქნები, თუ ჟურნალისტები პროფესიულად და კომპეტენტურად დაგვისვამენ კითხვებს სხვადასხვა თემაზე, რაც ათეულობით ათას ჩუღურეთელს აღელვებს, ამით დაგვეხმარებიან, არ მოვადუნოთ ყურადღება ადამიანური პრობლემებისადმი.

ამასთან, ისიც კარგად მესმის, რომ რაკი ამგვარი თავდასხმის ობიექტი გავხდი, მაშასადამე სწორ გზას ვადგავართ მეც და ჩემი მეგობრებიც!

მინდა დავუდასტურო ჩემი ღრმა პატივისცემა „ვერსიის“ რედაქციას, მის მკითხველებს და გაზეთის გამომცემელს და მთავარ რედაქტორს, ქ-ნ მაია ფურცელაძეს. დარწმუნებული ვარ, გაუგებრობით დაწყებული ჩვენი ურთიერთობა გადაიზრდება ნაყოფიერ თანამშრომლობაში, რაც სასიკეთო იქნება თბილისისთვის და თბილისელებისთვის.

ზურაბ ჩიკვილაძე
ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგებელი

რაში ხარჯავენ არასამთავრობოები პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებულ ფულს

3 372 101 ლარი — „ახალგაზრდა ადვოკატები“ 34 „ენ-ჯე-ო“-ს დაფინანსების დეტალებს ასაჯაროებენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ იმ არასამთავრობოთა საქმიანობა გამოიკვლია, რომლებიც 2011-2015 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდებოდნენ. უახლოეს დღეებში „ახალგაზრდა ადვოკატები“ კვლევის შედეგებს გაასაჯაროებს, მანამდე კი „ვერსია“ ექსკლუზიურად გთავაზობთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების სიას, რომლებმაც კულტურულ, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებებზე, ჯამში, 3 372 101 ლარი დახარჯეს.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის ასიგნებებიდან და სარეზერვო ფონდიდან, 2011-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით, 34 ორგანიზაცია დაფინანსდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან გადარიცხული თანხები კი ასე გადანაწილდა: 2011 წელს, პრეზიდენტის ასიგნებებიდან და სარეზერვო ფონდიდან 1 350 ლარი გაიცა. თანხის მიმღებია ერთი ორგანიზაცია, ინდმეწარმე „მარინა ბელეშიძე“, რომელმაც ააიპ „სიღარიბის დაძლევისა და გადაუდებელ დახმარებათა ფონდისთვის“ ამ თანხით სამი ორსართულიანი საწოლი შეიძინა.

2012 წელს პრეზიდენტის ასიგნებებიდან და სარეზერვო ფონდიდან 1 218 463 ლარი გაიცა. თანხა ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო, ყველაზე მსხვილი დაფინანსება კი შემდეგ ორგანიზაციებს ერგოთ: „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“ 2012 წელს 800 000 ლარით დაფინანსდა. ორგანიზაციამ ეს თანხა მედიასაშუალებებისთვის გრანტების კონკურსის წესით გაცემის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის დახარჯა; ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდმა — „სიცოცხლე მშვენიერია“, 2012 წელს მიღებული 200 000 სხვადასხვა მედიასაშუალებისთვის გრანტების კონკურსის წესით გაცემის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს მოახმარა; „საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტმა“ 150 644 ლარი მიიღო და ამ თანხით „ახალგაზრდული პარლამენტის ზამთრის ფესტივალი 2012“-ის ორგანიზება მოახდინა.

2013 წელს, პრეზიდენტის ასიგნებებიდან და სარეზერვო ფონდიდან 829 659 ლარი გაიცა. თანხის მიმღები 12 არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, მათ შორის ყველაზე მსხვილი დაფინანსება მიიღეს: „ახალგაზრდული ინიციატივა მომავალი საქართველოსთვის“, რომელიც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 90 659 ლარით დაფინანსდა და ეს თანხა თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ სტატისტიკური კვლევის ჩატარებაზე დახარჯა; „ქართლის ტრადიციული მეღვინეობის ასოციაცია“ 397 000 ლარით დაფინანსდა — თანხა მის მიერვე დაგეგმილი პროექტის განსახორციელებლად გამოიყენა; „საქართველოს ტრადიციული მეღვინეობის ასოციაცია“ 2013 წელს კიდევ ერთხელ, 110 000 ლარით დაფინანსდა და ამჯერადაც თანხა მის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას მოახმარა; „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი — საქართველო“ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 15 000 ლარით დაფინანსდა და თანხა მის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაზე დახარჯა; „მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია“ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 17 000 ლარით დაფინანსდა — თანხა საქართველოში ლაშქრობებისა და ტურიზმის ხელშეწყობაზე დახარჯა; „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია“ 2013 წელს, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 34 000 ლარით დაფინანსდა — თანხა საჭირო ინვენტარის შეძენაზე დახარჯა.

2014 წელს, პრეზიდენტის ასიგნებებიდან და სარეზერვო ფონდიდან 1 315 629 ლარი გაიცა. თანხა 16-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო. 2014 წელს, ყველაზე მსხვილი დაფინანსება მიიღეს: „საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციამ“ 184 535 ლარი მოსამართლეთა სემინარების ორგანიზებისთვის დახარჯა; 2014 წელს, „საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია“ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან კიდევ ერთხელ, 127 121 ლარით დაფინანსდა და თანხა ასოციაციის მიერ დაგეგმილ პროექტს — „მართლმსაჯულების გაძლიერებას“ მოხმარდა; ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანსაღი მომავლის კვლევისა და განვითარების ცენტრი „არს ვივენდი“ 2014 წელს, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 84 660 ლარით დაფინანსდა — თანხა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიური დახმარების, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებაზე დახარჯა; „დიალოგისა და განვითარების ფონდი“ 22 322-ით დაფინანსდა, რომელმაც ეს თანხა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ვიდეო-სიუჟეტების ჩვენებაზე დახარჯა; ფონდი „სიყვარულის მატარებელი“ 25 000 ლარით დაფინანსდა, რაც მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პროექტის ორგანიზებისთვის დაიხარჯა; ორგანიზაცია „კამარა“ 2014 წელს, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 24 480 ლარით დაფინანსდა, რაც პროექტის „პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ მავნე ნივთიერებაზე დამოკიდებულ პირთა“ რეაბილიტაციის განხორციელებაზე დაიხარჯა; ორგანიზაცია „ჩვენი ინიციატივა“ 30 700 ლარით დაფინანსდა — თანხა პროექტზე „შესაძლებლობები შეუზღუდავია“ დახარჯა, Voice From Georgia 2014 წელს, 64 431 ლარით დაფინანსდა და, საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით, ამ თანხით ორენოვანი ვებპორტალი შექმნა.

2015 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით, პრეზიდენტის ასიგნებებიდან და სარეზერვო ფონდიდან გაცემულია 7 000 ლარი. თანხა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციამ „ააიპ — პლატფორმა ცვლილებისთვის“, რომელმაც ეს თანხა პანკისის ხეობის ახალგაზრდებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად დაგეგმილი პროექტის „სოფლის ფოტოკლუბი — პანკისი“, განსახორციელებლად დახარჯა, თუმცა 7 000 ლარის გარდა, 2015 წლის 5 თებერვალს, იგივე მიზნისთვის, ამ ორგანიზაციას დამატებით 19 000 ლარიც გამოუყვეს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტები აცხადებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, პრეზიდენტის ასიგნებებიდან და სარეზერვო ფონდიდან, 2014 წლის 31 დეკემბერსა და 2015 წლის 13 მარტს მოწოდებულ ინფორმაციაში შეუსაბამობებია. მაგალითად, 2014 წლის მონაცემებში, არ გხვდება შემდეგი ორგანიზაციები: „გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი“ და უცხოური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში; 2013 წლის მონაცემებში არ გვხდება ააიპ „ლიტერა“. არადა, 2014 წლის 31 დეკემბერს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წერილის საფუძველზე, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა, საერთო ჯამში, 81 698 ლარი მიიღეს. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ 2013 წელს, „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციამ“, დამატებით, 8 625 მიიღო, რაც პრეზიდენტიის 2015 წლის მონაცემებში აღარ გვხდება. 2015 წლის მონაცემებით, ყურადღებას იქცევს ორგანიზაციები: „დიალოგისა და განვითარების ფონდი“, „ჩვენი ინიციატივა“, „აფხაზეთის ვირტუალური არქივი“, „საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია“, რომლებმაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2014 წლის 31 დეკემბრის წერილით, გაცილებით ნაკლები თანხები მიიღეს, ვიდრე ადმინისტრაციის 2015 წლის 13 მარტის გამოხმაურებით ზუსტდება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტები აცხადებენ, რომ შესაძლოა, პრეზიდენტის ასიგნებებიდან და სარეზერვო ფონდიდან გახარჯული თანხების მიზნობრიობა განხილვის საგნად იქცეს, ვინაიდან აშკარაა, რომ დაფინანსებული პროექტების უმრავლესობა სოციალური ხასიათის არაა. „ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტების შეფასებითვე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ ააიპ-ის ინიციატივები კულტურულ, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას ეხება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით, 2015 წლის განმავლობაში, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დასაფინანსებელი ორგანიზაციებისა თუ ღონისძიებების მიზნობრიობა გადაიხედოს და ის პრიორიტრეტული მიმართულებები განისაზღვროს, რომელიც ქვეყანაში უფრო მეტ სოციალურ აქტივობასა და მდგრადი ხასიათის პროექტის შექმნას მოემსახურება.

ქვათა მატიანე

ქცელდაბა–ჭერემის წვეროდაბალი?

ჭერემის ქვეყანა

გელა ქოქიაშვილი

ჭერემისხევი ჭერემიდან ჯერ ზეგაანსა და მუკუზანს შორის გამოივლის, მერე ველისციხესა და ახაშენს შორის და ალაზანში ისე ჩაედინება, ყველა სოფელი V,VI,VII,VIII და IX საუკუნეების ძეგლებითაა მოფენილი. ძეგლთა შემოვლას, ტრადიციულად, ზევიდან, ჭერემის ქვეყნის თავდაპირველი ცენტრიდან ვიწყებთ.

ჭერემ-ქალაქის შემოგარენში ენეოლითის ხანაში დასახლებულა ადამიანი და მას შემდეგ არ მიუტოვებია აქაურობა. ჯუანშერის ნათქვამი — გორგასალმა ჭერემის ციხე-ქალაქი მის მიერვე აგებულ ორ ეკლესიას შორის ააშენაო, იმას გვეუბნება მხოლოდ, რომ მან სასახლე და გალავანი ააგო, თორემ აქ რომ მესამე საუკუნეშიც არსებობდა ქალაქის ტიპის დასახლება, ამას ჭერემის ცალკეულ უბნებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები ადასტურებს. სხვათა შორის, აკი, ვახუშტი ბატონიშვილიც გვეუბნება, რომ ჭერემში ქალაქი გორგასლამდეც არსებობდა. მისი თავდაპირველი მშენებელი, ჩვენი აზრით, ის ასფაგურ მეფე უნდა ყოფილიყო, რომელმაც უჯარმაც ააგო (ოღონდ არა იქ, სადაც გორგასლისდროინდელი გალავნიანი დიდი ციტადელია). როგორც უჯარმას, ისე ჭერემს, გორგასალმა დანიშნულება შეჰმატა და ციხე-ქალაქებად აქცია. ჭერემის მკვლევარი ნანა მამაიშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს: **„წყაროების მიხედვით, V საუკუნის მეორე ნახევარში ხდება ჭერემის, ისევე, როგორც აღმოსავლეთიდან მომავალ სავაჭრო გზაზე (ჯუანშერის მიერ აღწერილი გზა) მდებარე ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენებული სხვა ცენტრების (ხორნაბუჯი, ველისციხე, უჯარმა) ციხე-ქალაქებად — სტრატეგიულ პუნქტებად გადაქცევა, რაც განპირობებული იყო ამ პერიოდში სასანური ირანის აგრესიის გაძლიერებით“.**

კეთილი და პატიოსანი! უჯარმაში, კაწარეთში თუ მანავის ციგზე ყოფნისას აკი სულ იმას ვამტკიცებდით, რომ შიდა კახეთში მიმავალ ნინოს კაწარეთ-ჭერემის დამაკავშირებელი იმ პირდაპირი და უმოკლესი გზით უნდა ევლო, რომელიც ციგომბორის ქედის თხემს მიუყვებოდა.

ახლა ისიც მოვიძიოთ, თუ სად იყო „ნინოს ცხოვრებაში“ დადასტურებული შიდა ანუ დიდი კახეთის **ქცელდაბა** თუ **ქველდაბა**. კარგად ვიცი, ზოგჯერ რა სახიფათოა სითამამე ნებისმიერ კვლევაში, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ვთქვა, რომ ქცელდაბა მომავალში ჭერემი გახდა, რაც „მოქცევაი ქართლისაის“ X საუკუნის შემკრებგადამწერთათვის უცნობია. ჭერემი გორგასლის მერე შერქმეული სახელია და არც ჭერამს (ხილს) უკავშირდება და არც სახლის ჭერს. იგი ჭერეხიდან მოდის, რაც რიყის ქვებს ნიშნავს (საერთოდ დღემდე ისიც ცნობილია, რომ შიდა კახეთში საუკეთესო სამშენებლო რიყის ქვა, დიდი არჩევანის გამო, სწორედ ჭერემისხევშია). ჭერემ-ქალაქის სასახლე გალავანი თუ ეკლესიები სწორედ ამ ქვებითაა ნაშენი. თითქმის იგივე ტოპონიმი — ჭერათხევი (ალისხეობა) ჩვენ ქართლშიც გვხვდება. წმ. ნინოს დროინდელი ქცელდაბა ჭერემის უბნებშია საძიებელი და მისი მიგნება ძნელი არაა. აქაურ ტოპომინებში ორჯერ გვხვდება სიტყვა წვერი: **წვერტბა** და **წვეროდაბალი**. ჩვენი მეგზური გოგია მთვარიშვილი წვეროდაბალის ეტიმოლოგიას ასე გვიხსნის: — წმინდა თევდორეს ეკლესია იმ ადგილებზეა აღმართული, რომელიც დაბალ ადგილში ბორცვს ანუ წვერს წარმოადგენსო. ეს, რა თქმა უნდა, ხალხური და თანაც გვიანდელი ახსნაა. **სინამდვილეში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს მთის წვერის დაბასთან — წვერდაბასთან**. ახლა საინტერესო ისაა, წვერდაბაა დამახინჯებული ფორმა ქცელდაბასი თუ პირიქით.

ასევე შეიძლება, ქცელდაბა მოქცეულ (მოხვეულ) სოფელს ნიშნავდეს, ისევე როგორც მდინარე ხრამს ჰქვია ქცია.

ჭერემის და ქცელდაბის იდენტურობას მხარს სხვა გარემოებაც უჭერს. აქ ორ ადგილზე არსებობდა IV საუკუნის ეკლესია: ერთი სოფლის განაპირას, აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი პატარა „წმ. მარინე“ ყოფილა, რომლის ნაშთები 1934-35 წლებში ყუბანიდან ჩამოსულ მჭედელს შეუგნებლად დაუნგრევია და სახლი აუშენებია. მეორე ტაძარი — ე.წ. „კვადრატი“ (ოთხი მხრიდან თაღებით გახსნილი მოზრდილი გუმბათიანი ნაგებობა) დიდი, საკათედრო საყდრის ეზოში მდგარა და 1924 წელს სოფლის ათეისტებს გაუნადგურებიათ. გარდა ამისა, ჭერემისხევის ქვედა მონაკვეთში, სოფელ ზეგაანის ტყეში IV საუკუნის მესამე ტაძარიც გვხვდება, მაგრამ ამის თაობაზე მომდევნო წერილში გვექნება საუბარი. ახლა კი ჭერემის ძეგლებს მივხედოთ.

IV ს-ის „კვადრატის“ შემორჩენილი ესკიზი; ჭერემის საეპარქიო ტაძრისა და ეპისკოპოსის სასახლის ნაშთები

ჭერემ-ქალაქის გალავანშემოვლებული სასახლე და ციხე-დარბაზი წვეროდაბალის ეკლესიიდან დასავლეთით მდებარე იმ კონცხზეა აშენებული, ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს ხანაში თავდაცვითი თხრილით რომ ყოფილა შემოფარგლული. III-IV საუკუნეებში იგი უკვე მძლავრ დასახლებას წარმოადგენდა. ციხე-დარბაზი, რომელიც სიგრძეში 52 მეტრია, აგებული ყოფილა ჭერმისხევში მოძიებული და შეძლებისდაგვარად გათლილი დიდი ლოდების ზუსტი თარაზული წყობით. იგი, მინიმუმ, ორსართულიანი ყოფილა. კედლების სისქე 1,5 მეტრია და პირველ სართულზე სარკმლებს არ მოიცავს. ამდენად, პირველი სართული, რომელიც 4 ოთახისა და დერეფნებისგან შედგება, სამეურნეო დანიშნულებისა ყოფილა. ზედა სართულის გეგმარებაზე საუბარი ძნელია, რადგან იგი სრულიად მოშლილია. ნაპოვნია მხოლოდ წითელი წერნაქით დაფარული ორღარიანი კრამიტი. **ციხე-დარბაზს სამხრეთით მართკუთხა კოშკი ასრულებდა. აღმოსავლეთით, 50 მეტრში, სასახლის კომპლექსის ნანგრევებია. მისი სიგრძე 30, 5, სიგანე კი 15,7 მეტრი ყოფილა. ყველაზე შთამბეჭდავად სწორედ ეს სასახლე გამოიყურება. ისიც ორსართულიანი უნდა ყოფილიყო.** აქვეა ახალაღდგენილი მცირე, დარბაზული საყდარი „**წმ. ბარბარე**“, რომელიც V საუკუნის ბოლო მეოთხედით თარიღდება. თლილი რიყის ქვით აგებულ ასეთ კოხტა ტაძარს იშვიათად თუ სადმე წააწყდებით.

გორგასლის აგებული ციხე-ქალაქის გალავანი წვეროდაბალის „წმ, თევდორეს“ ეკლესიამდე გრძელდება ფრაგმენტულად. V-VI საუკუნეთა მიჯნის ეს საყდარი, გიორგი ჩუბინაშვილის აზრით, სამეკლესიანი ყოფილა, მაგრამ ახლა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკლესიებისა მხოლოდ კვალი ჩანს. სხვა მკვლევარები, აქ ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევების საფუძველზე, ნაგებობას სამკვეთლოიან და გარშემოსავლელიან დარბაზულ ტაძრად მიიჩნევენ. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საყდარი საგულდაგულოდ თლილი შირიმის კვადრებით აუგიათ და ადგილიც დომინანტური შეურჩევიათ. სარესტავრაციო სამუშაოების დროს კონქის შუბლში აღმოჩნდა X საუკუნის მიწურულის წარწერიანი კრამიტი, რაც იმას ადასტურებს, რომ ეკლესია ამ პერიოდში საფუძვლიანად შეუკეთებიათ. შეკეთების ეს კვალი გამოსჭვივის ლავგარდანდანაც, სადაც V-VI საუკუნეებისთვის დამახასიათებელ კბილანიან ქვებს თაროსებრი ქვები ცვლის. კიდევ უფრო თვალშისაცემია ეს რესტავრაცია აღმოსავლეთ ფასადზე, სადაც სარკმლის თავზე წყვილი გრეხილი ლილვით თავსართია გამოყვანილი. V-IX საუკუნეებში ასეთ ლილვებს არ იცნობდნენ. დანარჩენი ნიშნებით (გვიან ამოშენებული სამხრეთ კარის ლუნეტი, ნალისებრი აფსიდი, თაღები, კბილანა ლავგარდანის ფრაგმენტები, სარკმელთა ფორმა და განაწილება გორგასლის მეფობის პერიოდისაა. ტაძარი სიგრძეში შიგნით 10,27 მ-ია, სიგანეში — 3,74 მ.

ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წვეროდაბალის წმ. თევდორეს ჭერემის საკათედრო ტაძარი არ ყოფილა. გორგასლის მიერ აგებული ცენტრალური საეპარქიო ტაძრები თითქმის ყოველთვის სამნავიანია და თანაც გაცილებით დიდი. ამიტომ ჭეშმარიტებას ბრძანებს გიორგი ჩუბინაშვილი, როცა საკათედრო ტაძრად სოფლის ცენტრში მდებარე, დიდ სამეკლესიან საყდარს ასახელებს (15,4X7,3 მ). თავდაპირველად იგი სამნავიანი ყოფილა, მაგრამ შემდეგ დანგრეულა და X-XI საუკუნეთა მიჯნაზე აღუდგენიათ. ამასთანავე, ტაძრის ხელახლა აგების პროცესში, ხუროთმოძღვარს გეგმა შეუცვლია და სამეკლესიანის ქარგა აურჩევია. შემორჩენილი ნაეკლესიარის შიგნიდან ნალისებრი და გარედან ხუთწახნაგა შვერილი აფსიდის აღდგენა ძველი ნიმუშით კი დაუწყია, მაგრამ ზედა ნაწილში მხრები ოდნავ განზე გაქცევია და კონქისთვის ნახევარწრიული ფორმა მიუცია. გარდა ამისა, აფსიდის მარჯვნივ, კედლის შუა წელში, ჩადგმული თაროვანი იმპოსტი უფუნქციოდ მიუტოვებია და ზედ ნავთაშორისი თაღი აღარ გადაუყვანია. ერთი სიტყვით, ოსტატს თაღებით გახსნილი ჰაეროვანი სანმავიანი სივრცისთვის სამეკლესიანი ბაზილიკის ჩაკეტილი სივრცეები უმჯობინებია. გიორგი ჩუბინაშვილს ასევე X-XI საუკუნეების წარწერად მიაჩნია ტაძრის ჩრდილოეთ ეკლესიის ფასადზე, ზეძირკვლის თავზე შემორჩენილი ასომთავრული წარწერა — „**მელქისედეკი**“... ლევან მელიქსედბეგი ამ წარწერის ფრაგმენტს ასე აღადგენს: „**(კათალი)კოზი მელქისე(დეკ)**“. თეიმურაზ ბარნაველს კი სხვა ვერსია აქვს: „**ესე საფლავი მელქისედეკისი**“.

გვიანდელი აღდგენის კვალი აშკარაა კედლების სამშენებლო მასალაში, აღმოსავლეთ ნანლის შირიმის თლილ კვადრებს კლდისა და რიყის ქვა მოსდევს. ჩანს, რომ ამ ტაძრისა და წვეროდაბალის „**წმ. თებდორეს** “ აღდგენა ერთდროულად მოხდა.

ტაძარი ურთულეს მდგომარეობაში და სასწრაფო შველას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისგანაც ისე დაგვრჩება ცალი კედელი, როგორც იქვე არსებული VIII=IX საუკუნეების მწყემსთავრის სასახლიდან.

ჭერემში კიდევ ოთხი ეკლესიაა, მაგრამ მათში ყველაზე შთამბეჭდავი და ხნიერ სოფლის ბოლოში შემორჩენილი „**მამა დავითის**“ სამეკლესიანი საყდრის ნაწილია. V-VI საუკუნეთა მიჯნის ამ ტაძრიდან ასე თუ ისე, ცენტრალური ეკლესია დგას ფეხზე (თუმცა კამარა მასაც აღარ აქვს), გვერდითი ეკლესია-ნავები კი დალეწილია.

ღამდება... ისევ ჭერემის ცენტრსა და დიდი ტაძრის ეზოს ვუბრუნდები. ეს სოფელი მრავალჯერ დაიცალა და აღორძინდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული ოჯახებით. ახლახან შეკეთდა ცენტრალურ მაგისტრალთან დამაკავშირებელი გზა, მაგრამ აქაურები მაინც ვერ უძლებენ ბარად ჩასვლის ცდუნებას. დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჭერემის ფესვს საკვები მას შემდეგ მოაკლდა, რაც ძველი ეპარქია გაუქმდა, ხოლო აღდგენის შემდეგ, მისი ცენტრი აქედან გურჯაანში გადავიდა. ჯერ კიდევ VI საუკუნის დასაწყისში, როცა ხოსრო მეფემ ჭერემი და ველისციხე დაანგრია, ადგილი მხოლოდ საერო ხელისუფლებამ შეიცვალა, თორემ ჭერემელ მწყემსმთავარს ფეხი არ მოუცვლია. ვერც შაჰაბასის გამანადგურებელმა ლაშქრობამ მოშალა ჭერემის საკურთხეველი. მხოლოდ ლეკთა განუწყვეტელმა შემოსევებმა და მოსახლეობის განწყვეტამ გამოიწვია ეპარქიის მოშლა და მისი სამწყოს ნინოწმინდელი და ბოდბელი ეპისკოპოსებისთვის გადანაწილება. დღეს, როცა ეს ეპარქია თავის საზღვრებში აღდგა, მას გურჯაანისა და ველისციხის სამწყსო დაერქვა. ჭერემის სახელი და ტერმინები „ჭერემის ქვეყანა“ „ჭერემელი“ გაქრა და მის ეკლესიებს ვინღა დაეძებს. არადა, ერთი მცირე მონასტერიც კი როგორ უშველიდა აქაურობას!..

ფიქრი ფიქრს მოეჭიდა, დრომ დროს გადაურბინა და მოულოდნელად, XIII საუკუნის ერთი სურათი გაცოცხლდა: ჭერემის ტაძრის ეზო და შემოგარენი სავსეა სადღესასწაულოდ მოსული ხახლით. წირვა-ლოცვა რა ხანია დასრულდა, მაგრამ საკმევლის სურნელი ჯერაც არ გამქრალა ბოლომდე. გალავნის გარეთ საეკლესიო ზეიმი საერო სანახაობით შეიცვალა. აი, რაინდი მეფე ლაშა-გიორგი და უმშვენიერესი ახალშენელი ქალიშვილი სუსანა მიწობლიძე. ისინი ჯერ შორით ჭვრეტენ ერთმანეთს. აქ გამოინასკვა მათი ბედი — სიყვარულით გამთბარი და მოშურნეთა თავლით განადგურებული.

ჭერემის „წმინდა ბარბარე“; ჭერემის წვეროდაბალის „წმინდა თევდორე“; ჭერემის „მამა დავითი“



ავტორის ფოტოები

სუდოკუმანია

ადვილი

	3	7		1	9			5
		2			7			9
					4		3	
					5		1	3
		4		6		9		
1	7		4					
	1		9					
8			7			3		
7			5	4		6	2	

სტანდარტი

						7		5
								4
			7	6	5	3	9	
5		7	3	1			8	
	3			7			2	
	2			4	6	5		3
	9	2	1	5	8			
7								
3		8						

რთული

5			2		6		9	
					4	8	3	
	7							2
					2			5
		7		3		2		
4			8					
6							7	
	8	1	5					
	5		4		1			3

ექსპერტი

	9		8	1		2		
		7			4	3		
	1				2		9	
6			7			1	3	
		2				8		
	7	1			3			6
	2		3				8	
		3	2			7		
		9		7	5		2	

ბევრი ძილი ახდუნებს?

ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანს რაც უფრო ნაკლებ ხანს სძინავს, მით უფრო იმატებს წონაში. მინესოტას კლინიკის მედიკოსებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგებიტაც დამტკიცდა, რომ ცოტა ძილი გაძლიერებულ კვებას ითხოვს. ექსპერიმენტისას მკვლევარები ჯანმრთელ 17 ქალსა და მამაკაცს ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ. მათგან ერთ ჯგუფს ნორმალურად გამოძინების საშუალება ეძლეოდა, მეორეს ამისთვის უფრო ნაკლები დრო ჰქონდა. საკვებს კი იმდენს იღებდნენ, რამდენიც მოესურვებოდათ. მეცნიერებმა შეამოწმეს, მართლა ახდენს თუ არა გავლენას უძილობა მადაზე პასუხისმგებელ ჰორმონებზე — ლეპტინისა და გრეილინის დონის ცვლილებაზე. აღმოჩნდა, რომ მოხალისეები ცოტა ძილით დაკარგულ ენერგიას ჭამით ინაზღაურებდნენ. იმ ჯგუფის წევრები, რომელთაც ცოტა ეძინათ, ყოველდღიურად 549 კალორიით მეტს იღებდნენ, ვიდრე ექსპერიმენტის უფრო გამოძინებული მონაწილენი. აღსანიშნავია, რომ უძილობა დღეს გლობალური პრობლემაა. აშშ-ს მოსახლეობის 28%-ს დღე-ღამეში მხოლოდ 4-6 საათი სძინავს, ეს კი მათ წონაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

ადამიანის ზრახვებსაც გაშიფრავენ?

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის მიერ შემუშავებული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეთოდიკა ადამიანის უახლოესი განზრახვის დაფიქსირების საშუალებას იძლევა, — წერს ბრიტანული „გარდიანი". რაღაც ხარისხით, სწავლულთა მიღწეულ შედეგს შეიძლება აზრების კითხვის ტექნოლოგია ვუწოდოთ. ექსპერიმენტისას მეცნიერებმა 70%-იანი წარმატებით შეძლეს განესაზღვრათ, კვლევის მონაწილე მისთვის შეთავაზებული ორი რიცხვის შეკრებას თუ გამოკლებას აპირებდა. როგორც ბრიტანული გამოცემა წერს, ამ ტექნოლოგიის გამოყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა დამნაშავეობასთან და ტერორიზმთან ბრძოლა, განაპირობებს ზოგი ეთიკური პრობლემის წარმოშობას. კერძოდ, დამკვირვებელთა გარკვეულ შიშს იწვევს იმის შესაძლებლობა, უტყუარად ამოიცნობენ თუ არა ადამიანის განზრახვას მის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენამდე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ არ არსებობს მეთოდი, რომელიც ადამიანის ტვინში წამიერად გაელვებულ ფიქრებს უკვე გააზრებული გადაწყვეტილებებისგან განასხვავებდა. ნეიროფიზიოლოგები აღნიშნავენ, რომ მასობრივ პრაქტიკაში „აზრების კითხვის" მეთოდის აკრძალვის თუ მისი დანერგვის გადაწყვეტილება ეთიკური პრობლემაა და ეს საკითხი საზოგადოებამ უნდა დაარეგულიროს.

სიგარეტი 100 დოლარი ეღირება

ახალი ზელანდიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები გადადგას თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლაში. მთვარობამ დაამტკიცა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში სიგარეტის ფასი ყოველწლიურად მოიმატებს. ჩინოვნიკები მზად არიან, იქამდეც მივიდნენ, რომ ერთი კოლოფი სიგარეტის ფასი 100 დოლარი გახდეს. ახალი ზელანდიის ჯანდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა მოწევასთან ბრძოლის გეგმა, რომლის მიხედვითაც, დაახლოებით 2020 წლისთვის სიგარეტი, ფაქტობრივად, ძვირფასი პროდუქტი გახდება. ყოველწლიურად, კოლოფი თამბაქოს ღირებულება, საშუალოდ, 30%-ით მოიმატებს. ამგვარად, რამდენიმე წლის შემდეგ, ერთი ღერი სიგარეტის ფასი 4-5 დოლარს მიაღწევს, მთლიანი კოლოფის შესაძენად კი მწეველებს 100 დოლარის გაღება მოუწევთ. არსებობს გეგმის მეორე, „შერბილებული" სცენარიც, რომლის მიხედვითაც „სასიკვდილო პროდუქციას" ხელისუფლება 10-10%-თ გააძვირებს. ამ შემთხვევაში კი, კოლოფის ფასი 2025 წლისთვის 40 დოლარამდე აიწევს. მთავრობის მიერ მოწონებული გეგმა შესაძლოა ძალაში უკვე მოავალი წლიდან შევიდეს. ჩინოვნიკები აღიარებენ, რომ მხარს უფრო მკაცრ ვარიანტს უჭერენ. ისინი იმედოვნებენ, რომ ასეთი დრაკონული ნორმით მოწევის მავნე ჩვევას ქვეყანაში საბოლოოდ ამოძირკვავენ, რადგან მოსახლეობის უმრავლეოსობას არ ექნება სიგარეტის ყიდვის შესაძლებლობა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	9	7	6	4	5	3	1	2
2	6	5	3	1	9	4	8	7
4	3	1	2	8	7	6	5	9
7	2	3	5	9	8	1	6	4
6	1	8	7	3	4	2	9	5
5	4	9	1	2	6	7	3	8
1	5	4	9	7	3	8	2	6
3	8	6	4	5	2	9	7	1
9	7	2	8	6	1	5	4	3

სტანდარტი

2	9	8	1	7	5	4	6	3
4	1	6	3	2	8	9	7	5
7	5	3	6	4	9	8	2	1
3	2	1	8	9	4	7	5	6
6	7	9	5	3	2	1	4	8
8	4	5	7	1	6	3	9	2
5	6	7	4	8	3	2	1	9
1	8	2	9	5	7	6	3	4
9	3	4	2	6	1	5	8	7

რთული

7	8	4	3	2	1	6	9	5
2	6	1	9	8	5	7	4	3
5	3	9	7	6	4	2	1	8
4	2	3	6	5	8	1	7	9
1	9	8	4	3	7	5	2	6
6	7	5	2	1	9	8	3	4
9	5	2	1	4	6	3	8	7
8	1	7	5	9	3	4	6	2
3	4	6	8	7	2	9	5	1

ექსპერტი

2	1	3	6	9	8	4	7	5
9	5	8	7	4	3	6	2	1
4	7	6	5	1	2	3	9	8
3	9	7	8	2	6	5	1	4
1	6	5	9	7	4	8	3	2
8	4	2	3	5	1	9	6	7
7	3	4	2	6	5	1	8	9
6	2	1	4	8	9	7	5	3
5	8	9	1	3	7	2	4	6

მე-12 გვერდი: 1. ფოტოფობია; 2. ტამბური; 3. ფორტისიმო; 4. ტუზი; 5. ფული; 6. ავლაბარი; 7. ბავშვობა; 8. რიწა; 9. ბის; 10. სუვერენიტეტი; 11. ლაზერი; 12. ლავიწი; 13. აბიტურიენტი; 14. ბელკანტო; 15. ფესი; 16. არტისტი; 17. ერბო; 18. სუფრა; 19. ბივა; 20. ტევიე; 21. კატა; 22. მესია; 23. რაბი; 24. აბრა; 25. ლუზა; 26. ამინდი; 27. იროკეზები; 28. ნარიტა; 29. დუნაი; 30. ბორის; 31. ტაბლა; 32. ლადო ათანელი; 33. ზარაფხანა; 34. ჯინა; 35. დოჟი; 36. დიალოგი; 37. მის; 38. ასო; 39. დურემარი; 40. ნეფე; 41. ჯადო; 42. ნატო; 43. ოდეონი; 44. ბეტონი; 45. ემუ; 46. ნინევია; 47. აჟანი; 48. დიეტა; 49. ბოა; 50. ინანთი; 51. ინტინა; 52. აარონი; 53. ელიოტი; 54. უმიაკი; 55. ნუარე; 56. რეალია; 57. ზილი; 58. ამიმია; 59. ფიულკე; 60. „ავეო"; 61. ბაგა; 62. მეზალიანსი; 63. აიალა; 64. ნალია; 65. იარა; 66. ლიბანი; 67. „ასა"; 68. მისია; 69. ორგია; 70. იაკი; 71. ლუი; 72. „ლელო"; 73. ტინი; 74. გრო; 75. ალი; 76. ტერასა; 77. მურწა; 78. აიკიდო; 79. ასტრა.

პარფიუმერია შინაგანი მოხმარებისთვის

სავაჭრო მარკამ Lucy McRae სრულიად უნიკალური პარფიუმი დააანონსა. გამოგონება, რომელსაც შწალლონწაბლე არფუმ (ანუ საკვებად ვარგისი) უწოდეს, სავსებით შესააბამება სახელწოდებას. სიახლე, რომელიც ბიოლოგ შერეფ მენსისთან ერთად შეიქმნა, არა გარეგანი, არამედ შინაგანი „მოხმარებისთვის" არის განკუთვნილი. ამ უნიკალური პარფიუმის პრონციპი მეტად ორიგინალურია. დილით, სამსახურში წასვლამდე, ადამიანი ყლაპავს კაფსულას, რომელიც უნიკალურ ნაერთებს შეიცავს. ნივთიერებათა ცვლის პროცესში სისხლში გამომუშავდება არომატული ნივთიერებები, რაც ნელნელა კანის ფორებიდან გამოდის. ამის წყალობით აღარ იქნება საჭირო ყოველდღიურად სუნამოს ან ტუალეტის წყლის ტრადიციული მიპკურება. ამასთან, ახალი პარფიუმის ავტორების მტკიცებით, მის მომხმარელებს სრულიად განსხვავებული სურნელი ექნებათ, რადგან კაფსულას შემადგენლობა ადამიანის სეკრეციებს შეერევა. ამგვარად, შწალლონწაბლე არფუმ-ის გადაყლაპვით ადამიანი ერთადერთ, უნიკალურ არომატს მიიღებს, რასაც ანალოგი არ მოეძებნება. სიახლის კიდევ ერთი უნიკალური თვისება სუნის ინტენსივობას უკავშირდება. რადგან ის ოფლთან ერთად გამოიყოფა, დასვენებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანი ნაკლებად შესამჩნევ არომატს აფრქვევს, სხეულის აქტიური მოძრაობისას კი, ტემპერატურის მატებასა და პულსის აჩქარებასთან ერთად, სურნელი ძლიერდება. დღესდღეობით „საკვებად ვარგის" პარფიუმზე ლაბორატორიული მუშაობა დასრულებულია და როგორც სავაჭრო ფირმა Lucy McRae აცხადებს, გასაყიდად ბაზარზე ის სულ მალე გამოჩნდება.



1. ოტელოს მეუღლე
2. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში
3. მოკლე წარწერა გერბზე
4. „ეკლესიანი“ ცხოველი
5. საზოგადოების რჩეული ნაწილი
6. ღვინის სპირტი
7. „ტიტანიკის“ რეჟისორი
8.აპოლონის და არტემიდეს დედა
9. ცუდი ამინდი
10. ცნების, იდეის პირობითი გამოსახულება
11.ძვლოვანი წანაზრადი ცხოველის თავზე
12. კუდიანი ვარსკვლავი
13. ტროპიკული ხილი
14.შამილის მიერ შექმნილი სახელმწიფო
15. „ზოლებიანი“ ცხოველი
16. აკაკის ძიძა ... საფუნიშვილი
17. წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი
18. ზევსის მეუღლე
19.სურათების ერთად აკინძული კრებული
20. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
21. კანის ინფექციურ-პარაზიტული დაავადება
22.დარგაზუ-ლი ტიპის ტაძარი თბილისში
23.მდინარე რუსეთში, ციმბირში
24. დათვის ნაშიერი
25. ვაზის დაავადება, იგივე ნაცარი
26.მთვარის ორბ. უმორესი წერტილი დედამიწისგან
27. პაპირუსის ქართული შესატყვისი
28. პარაგვაუ-ლი ჩაი
29. ავსტრალიის კუნძულოვანი შტატი
30. ექსკურსიამძღოლი
31. ტრაგიკულად დაღუპული ჰოლ. ვარსკვლავი
32. სპილოს წინაპარი
33.პარკოსანთა ოჯახის ხე
34.„ჯბილებიანი“ ბოსტნეული
35. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ასული
36. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი
37.ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
38.მარიტას სატრფო „ნატვრის ხეში“
39. სოფელი გორის რაიონში
40.მჭიდროდ ნაკერი ნემსის უხარვეზოდ ამოგებით
41 წყლის დიდი ფრინველი მოვარდისფრო ბუმბულით
42.სანკტ-პეტერბურგის მუზეუმი
43.ფრანგი მსახიობი ... დელონი
44. მიკი მაუსის მეგობარი ძაღლი
45.უძველესი ქალაქი მცირე აზიაში
46.კუნძულ კრეტის უმაღლესი მწვერვალი
47.სხვადასხვა რასის ქორწინების ნაყოფი
48. თევზის ნახარშისგან მომზადებული წვნიანი
49.მოქმედ არმიაში მოხალისედ წასული
50. ფუტკრის ნობათი
51.ვაზების მწკრივი ვენახში
52.სამხრეთ სლავების ტრადიციული არაყი
53. ბერძნული ანბანის ასო
54.პლანეტა ვენერას ერთ-ერთი სახელი
55. ავადმყოფობის სიმპტომთა დროებითი შეჯამება
56. კოლხეთის მითოლოგიური მეფე
57. სუფრის ხელმძღვანელი
58. მონადირეთა „საყვარელი“ ფრინველი
59. სოფელი ზუგდიდის რაიონში
60. ზღვა ფილიპინების სამხრეთ-დასავლეთითი
61. ხრიკი, ფანდი
62. ქონდრისკაცი ევროპულ მითოლოგიაში
63. კუკარაჩას ცოლის სახელი
64. ჩინეთ-მცოდნეობა
65.პატარძლის თავსაბურავი
66.ჰუსბგერის გრაფ. ნიშანი
67. საათის 1/60
68. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
69. წყალში მოზელილი ფქვილი
70. ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში
71. წყლით გაჟღენთილი, ნესტიანი
72.მიამიტი ქალის როლების შემსრულებელი მსახ. ამპლუა
73. სევდიანი ხასიათის ლექსი ან მუსიკალური პიესა
74. ოქროს ურდოს ერთ-ერთი სარდალი
75.ექსპერიმენტი
76.ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
77. რუსული თვითმფრინავის მარკა
78. ამერიკელი რეპერი ... რაიმსი
79. სუსტი ქარი, ნიავი
80. ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი
81. გაზაფხულის ყვავილი
82. სინათლე ბავშვის ენაზე

დაკრძალვის მონაწილეები ლუდმა იმსხვერპლა

მოზამბიკში, დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიაზე, ლუდით მოწამვლის შედეგად, 72 ადამიანი გარდაიცვალა, 36 დაზარალებული კი საავადმყოფოში მოხვდა. საერთო ჯამში, სამედიცინო დახმარება 150 ადამიანს დასჭირდა. ინციდენტი ქვეყნის პროვინცია ტეტეში მოხდა. ადგილობრივი სამართალდამცველების ინფორმაციით, უცნობმა პირებმა სასმელში ნიანგის ნაღველი შეურიეს. კასრი, რომელშიც ლუდი მოიხარშა, ინციდენტის შემდეგ დაიკარგა და პოლიცია მას უშედეგოდ ეძებს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ლუდის ის ადამიანები მოიწამლნენ, რომელტაც სასმელი დღის მეორე ნახევარში დალიეს. ვარაუდობენ, რომ სასმელში საწამლავი მაშინ ჩაასხეს, როცა სამგლოვიარო ცერემონიის მონაწილეები სასაფლაოზე გაეშურნენ. დაღუპულებს შორის არიან ლუდის დამზადებაზე პასუხისმგებელი და მისი ოჯახის წევრებიც.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.